# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 ივნისი, 2009 წელი.

№ 123 (6224)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „ყველას ავიწყდება, რომ ეთნიკურ წმენდას კოსოვოში სერბები ატარებდნენ, ხოლო ქართველთა ეთნიკურ წმენდას - აფხაზები“





5

## მზადება საქართველოზე თავდასხმისთვის? ჩვენი ტერიტორიის 70 კვადრატული კილომეტრი რუსებს ჩააბარეს?

2

## „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“...

ანუ „ვერ გაიგეთა, ქართველნო!?“

4

## „სააკაშვილს იმ ფრაზების გამეორებას აიძულებენ, რაც კუბლაშვილების საძმომ გაახმაურა“

3

გიორგი ბარამია:

## ჩემთვის ორი მთავარი პრიორიტეტია – აფხაზეთი, დევნილები



3



## ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

გუშინ თბილისის მეტროში გაგონილი:

– მიშა, შე მართლა ფრაერო, რატომ გიგანა გაერომ?!

## ჟურნალისტები ვგმობთ ძალადობას!

***თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით რამდენიმე ბეჭდვურმა გამოცემამ საგანგებო განცხადება გაავრცელა.***

ჩვენ, საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები და მათი ჟურნალისტები ვუერთდებით პროტესტს და ვგმობთ შს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან განხორციელებულ ძალადობას. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები, რის გამოც დაზარალდა არაერთი ჩვენი კოლეგა. მივიჩნევთ, რომ ამ ვითარების გამო პასუხისმგებელია ხელისუფლება და, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ფასადურად ხშირად საუბრობს ჟურნალისტების უფლებების, დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების პრინციპების დაცვაზე.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს ამ ფაქტების სასწრაფო გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯისკენ. ვთვლით, რომ მოქალაქეებისა და ჟურნალისტების სასტიკი ცემის ფაქტების გამოუძიებლობა და დაუსჯელობა ახალისებს საქართველოში დაუსჯელობის სინდრომს და მოძალადეებს, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ გაზეთები **„ალია“; „აღმოსავლეთ-დასავალი“; „ყველა სიახლე“; „რეზონანსი“; „ჯორჯიან თაიმსი“; „ახალი თაობა“; „ვერსია; „კვირის პალიტრა“; „კვირის ქრონიკა“;** ჟურნალები **„თბილისელები“; „გზა“; „სარკე“; „რეიტინგი“;**

*ამ საგანგებო განცხადებას უერთდება გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“**. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგნი ვიყავით და მკაცრ პროტესტსაც ვუცხადებდით ყოველგვარ ძალადობასა და განუკითხაობას, არამარტო ჩვენი კოლეგების, არამედ ნებისმიერი მოქალაქის მიმართ ჩადენილს.*

*სამწუხაროდ დღეს, ჩვენს ქვეყანაში რეპრესიების, ძალადობის, განუკითხაობის ზეობაა. გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** თანამშრომლები ურყევად ვდგავართ სამართლიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის პოზიციაზე.*

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ვინ რას მალავს

# მზადება საქართველოზე თავდასხმისთვის?

## ჩვენი ტერიტორიის 70 კვადრატული კილომეტრი რუსებს ჩააბარეს?

**„საქართველოს საზღვრების გასწვრივ რუსეთის ჯარის ნაწილების წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით დისლოკაცია შეინიშნება. გაზრდილია ჯარისკაცთა პირადი შემადგენლობა, თავმოყრილია სპეციალური ნაწილები, აქვთ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, განსაკუთრებული ყურადღება ვერტმფრენებს ექცევა. ეს არის ან ძალის დემონსტრირება, ან მზადება საქართველოზე თავდასხმისთვის, — ასეთი შემაშფოთებელი ინფორმაცია გაახმიანა ექსპერტმა მამუკა არეშიძემ „თავისუფალი აზრის სახლში", ბრიფინგზე. სამწუხარო კი ის არის, რომ ხელისუფლება არ გამოთქვამს ექსპერტებთან თანამშრომლობისა და რეალობისთვის თვალის გასწორების სურვილს. ამის მაგალითად თუნდაც მამისონის უღელტეხილთან დაკავშირებული აჟიოტაჟიც კმარა, საიდანაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაახევინეს ქართველ მესაზღვრეებს, შემდეგ კი 70 კვადრატული კილომეტრი დაატოვებინეს და ახლა შოვთან, სოფელ ოქროყანასთან დგანან.**

არეშიძე აცხადებს, რომ იქ საზღვარი არასდროს არ იყო დემარკირებული, ანუ რუსები და ქართველები ერთობლივად აკონტროლებდნენ. მხოლოდ 100-ოდე მეტრით იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებული, რაც საბაბს აძლევს ხელისუფლებას, რომ დღეს ოფიციალურად არ დაადასტუროს ეს ფაქტი. ობიექტურები რომ ვიყოთ, უნდა ითქვას ისიც, რომ საბჭოთა რუკის მიხედვით 70 კვადრატული კილომეტრიდან ერთი მეექვსედი სამხრეთ ოსეთს (ჯავის რაიონსძ ეკუთვნოდა, მაგრამ დანარჩენი შოვის რაიონის ტერიტორიაა.

რაც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მამისონის უღელტეხილზე ქართველები არ დგანან. იქ ახლა ვიცესპიკერი პაატა დავითაია არის ჩასული, თუმცა მომავალ კვირას ინსპექტირებაზე ექსპერტთა ჯგუფთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილიც ჩავა.

ბრიფინგზე კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარემ **ზაალ კასრელიშვილმაც** ჟურნალისტებს რუკის მოშველიებით გააცნო ის სტრატეგიული სიმაღლეები, რომლებსაც დღეის მდგომარეობით რუსები აკონტროლებენ. მისი თქმით, ეს არის აფხაზეთის ტერიტორია ბზიფიდან ქლუხორამდე, ხოლო სვანეთთან აილამას 9-კილომეტრიანი მონაკვეთი რუსების ხელშია. მამისონის უღელტეხილთან ქართველებს უკან დაახევინეს, ყვარლის გადაღმა კი მდინარე ასასა და ჩანთი-არღუმის ხეობაში რუსული ჯარი დგას. ინგუშეთის საზღვართან სამთო-ქვეითი ნაწილი შეიყვანეს, სუარგომის ხეობასაც ისინი აკონტროლებენ. ყველა საცალფეხო ბილიკი, საიდანაც კი შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა, აღებულია.

დარჩენილია ერთადერთი — ყაზბეგის რაიონი, რის გამოც უკვე ატეხილია აჟიოტაჟი და რუსულ პრესაში ამტკიცებენ, რომ ისიც ოსეთის ტერიტორიაა.

**უნდა გავმართოთ კონსულტაციები სპეცსამსახურებთან, სახელმწიფო სამსახურებთან, ოპოზიციასთან, რათა სიტუაცია გავანეიტრალოთ, — ამბობს მამუკა არეშიძე, რომელიც ხელისუფლებისგან დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვს, ჩრდილო კავკასიიდან გვაქვს სერიოზული სიგნალები, ინფორმაციები იმის შესახებ, რომ სერიოზული საფრთხეები არსებობს, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება ჯერ კიდევ გავანეიტრალოთ.**

მამისონთან ხიდი ქართველმა მესაზღვრეებმა ააფეთქეს, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები ამტკიცებენ. ეს ნიშნავს, რომ ვიღაცამ ბრძანება გასცა ამის შესახებ, რადგან თვითნებურად არ გააკეთებდნენ, — ვარაუდობენ ექსპერტები, — ხოლო ეს ფაქტი თავისთავად ადასტურებს, რომ ეს ტერიტორია რუსებს ჩააბარეს.

ჩვენ შეიძლება რაჭის მთიანეთი საერთოდ დავკარგოთ, — განაცხადა მამუკა არეშიძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ შეიძლება რაჭის მიტოვებულ ადგილებში რუსები არ შევიდნენ, მაგრამ ოსები შევლენ, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ ისტორიის მანძილზე.

თუ რუსები ომისთვის ემზადებიან, მაშინ ერი და ბერი უნდა გავერთიანდეთ და ვთქვათ, რომ თავდასხმისთვის ემზადებიან, — ამბობს ექსპერტი, რომელიც ვარაუდობს, რომ ომი ნაკლებად მოსალოდნელია, — ომს არ ველოდები, მაგრამ ამისთვის პანკისის თემა შეიძლება გამოიყენონ, საქართველო ომს კი არა, პატარა კონფლიქტსაც ვერ გაუძლებს, — აცხადებს ის.

**მამუკა არეშიძემ ბრიფინგზე არაერთხელ აღნიშნა, რომ საზოგადოების დაშანტაჟებას, დაფრთხობას არ ცდილობს, მაგრამ არც უთქმელობა ივარგებს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, უფრო სწორედ, კი ფაქტებს არ ახმაურებს და მალავს.**

**თეა მოსია**



ლომაიური

# საპროტესტო აქცია გაეროს შტაბ-ბინის წინ




**15 ივნისსაც და მანამდეც, რამდენიმე დღის განმავლობაში, ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, გაეროს შტაბ-ბინასთან ქართველი და ამერიკელი პროტესტანტები იკრიბებოდნენ.** რასაკვირველია, არავის ჰქონდა იმის იმედი, რომ რუსეთი პოზიციას შეიცვლიდა, მაგრამ იმ წვიმიან დღეებში საქართველოს ხმა არა მარტო შენობის შიგნით, არამედ მის გარეთაც უნდა გაეგონათ. მიტინგის მონაწილეები ვითხოვდით საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარის გაყვანას, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს მისიის მანდატისა და 12 აგვისტოს შეთანხმების პუნქტების აღსრულებაზე მონიტორინგის გაგრძელებას, ხოლო თავად გაეროს მის იმ ფუნქციასაც „შევახსენებდით", რომლის აღსრულებისთვისაც იგი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეიქმნა...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ.კორ. ნიუ-იორკი, აშშ.**

გაერო

# ჩვენს რეგიონში სიმშვიდე თურმე პან გი მუნის გარეშეც მოგვარდება



**გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა საქართველოში მისიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ბრძანება უკვე ოფიციალურად გასცა.**

პან გი მუნმა შესაბამისი ინსტრუქციები რეგიონში სპეციალურ წარმომადგენელს იოჰან ვერბეკეს მისცა.

პან კი მუნი იმედს გამოთქვამს, რომ სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება რეგიონში გაეროს გარეშეც მოხერხდება.

გენერალური მდივნის პრესსამსახურის ინფორმაციით, მისიის შეწყვეტასთან დაკავშირებით მომავალ კვირას საქართველოში მუნის მოადგილე ედმუნდ მიულე ჩამოვა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პარტიებსა და მოძრაობებში

# კონსერვატიული პარტია აქციის დარბევას სტრასბურგში გააპროტესტებს

**ოპოზიციის აქციების ბოლო დროს გახშირებულ დარბევებს კონსერვატიული პარტია აპროტესტებს. თავიანთ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ.**

— 15 ივნისს საქართველოს მმართველმა რეჟიმმა ერთდროულად რამდენიმე წერტილში დაიწყო მშვიდობიანი აქციების დარბევა. 12 საათზე სამოქალაქო ფორმაში გადაცმული დაახლოებით 70-მდე ნაჯახებითა და რკინის ნაჭრებით შეიარაღებული პირი კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე შეიჭრა და დააზიანა აქციის მონაწილეთა საკნები. სასტიკად არის ნაცემი სამი ადამიანი. ამ დარბევის დროს ადგილზე მობილიზებული არ ყოფილა პოლიციის არც ერთი ქვედანაყოფი, ხოლო იქვე მდგარ უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს ძალადობისთვის ხელი არ შეუშლიათ.

კაკა კუკავამ, იმავე დღეს გაეროს წარმომადგენლობის შენობასთან მომხდარი ინციდენტიც ხელისუფლებას დააბრალა და ეს ფაქტიც აქციის დარბევად შეაფასა. როგორც ცნობილია, ამ აქციაზე სამი ქალბატონი დაშავდა.

განსაკუთრებულ აღშფოთებას კი კონსერვატიული პარტია სამმართველოსთან მომხდარი მოვლენების გამო გამოთქვამს.

— ეს იყო პოსტ-საბჭოთა საქართველოში უმაგალითო დარბევა — პოლიციის სამმართველოსთან, სადაც ახალგაზრდული მოძრაობის აქცია მიმდინარეობდა დაკავებული თანამებრძოლების გათავისუფლების მოთხოვნით. ტყუის ეკატერინე ზღულაძე, როცა აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციის მიმართ წინააღმდეგობას. წინასწარი გაფრთხილების გარეშე 50-მდე ახალგაზრდას თავს დაესხა 500-ზე მეტი პოლიციელი და მათი სასტიკად ცემა და დაპატიმრება დაიწყო. ნაცემთა და დაკავებულთა



შორის აღმოჩნდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები, სასტიკად სცემეს ზურაბ აბაშიძე. დაკავებული იყვნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ჟურნალისტები, რომელთაც ჩამოართვეს ვიდეოკამერები და გადაღებული მასალა. სულ დააპატიმრეს 40 პირი, რომელთაგან ექვსი დღემდე პატიმრობაში რჩება. დაკავებისას ახალგაზრდების ცემას და დამამცირებელ მოპყრობას პირადად ხელმძღვანელობდნენ პოლიციის მაღალჩინოსნები: გოგა გრიგალაშვილი და გიორგი გეგეჭკორი.

კახა კუკავამ დაპატიმრებულთა ჯანმრთელობის შესახებაც გააკეთა განცხადება. მისი ინფორმაციით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დაჩი ცაგურია და გიორგი ჩოთარიშვილი იმყოფებიან, არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო სამედიცინო დახმარებით. რაც შეეხება ცაგურიას, მისი საცოლე ნათია ხაინდრავა ჩეხეთის საელჩოს წინ შიმშილობს, თუმცა საელჩოს დღემდე არ გამოუჩენია ყურადღება მოშიმშილე გოგონას მიმართ.

კონსერვატიული პარტიის ინფორმაციით, 16 ივნისს, ღამის საათებში მოშიმშილესთან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი მივიდა. პოლიციელებმა ხაინდრავას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და კარავიც წაართვეს.

საერთო ჯამში კი 9 აპრილიდან დღემდე სისხლის სამართლის წესით, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულია 20 ადამიანი, ადმინისტრაციული წესით — 10 ადამიანი. განხორციელებულია პოლიტიკური თავდასხმა, ცემა და გატაცება ოპოზიციის 120 აქტივისტის წინააღმდეგ. თავდასხმის არც ერთი ფაქტი არ არის გამოძიებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

**კახა კუკავა:**

— მივმართავთ ევროპის კავშირს, ევროპის საბჭოს, ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ლიდერებს — შეისწავლონ საქართველოში პოლიტიკური ტერორის ფაქტები. იმავდროულად, პარტია უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს იმ პირების ნუსხას, რომლებიც მონაწილეობდნენ აქციის დარბევაში და რომელთა წინააღმდეგ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება. ჩვენ სარჩელს ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი სტრასბურგის სასამართლოში შევიტანთ.

**ანა წიწილაშვილი**

## თვალსაზრისი

*ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, მიუხედავად პირობისა, სააკაშვილს თავისი გუნდი სალომე ზურაბიშვილის შს მინისტრის მოადგილედ დანიშვნის უფლებას არ მისცემს. და თუ კი მაინც დანიშნავენ, ამ შემოთავაზების სიყალბე მალე გამოვლინდება, რადგან მნიშვნელოვან საქმეებში ჩარევის საშუალებას არ მისცემენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.*



# სოსო ცისკარიშვილი: სააკაშვილს იმ ფრაზების გამეორებას აიძულებენ, რაც კუბლაშვილების საძმომ გაახმაურა

**— ბატონო სოსო, რამდენად სწორად მიგაჩნიათ, სალომე ზურაბიშვილის ნაბიჯი და როგორ ფიქრობთ ხელისუფლება თავის წინადადებას უკან ხომ არ წაიღებს?**

— სალომე ზურაბიშვილის ნაბიჯი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, მიმზიდველია თავისი მოულოდნელობით და არაპროგნოზირებულობით. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ჯენტლმენური მიდგომა გამოავლინა და თქვა, რომ თავის სიტყვას უკან არ წაიღებს და მისი შეთავაზება ძალაშია, მეორე დღესვე დავრწმუნდით, რომ სააკაშვილს ამის საშუალებას არ მისცემენ და ეს კუბლაშვილების საძმოს მხრიდან გახმაურდა.

**— თქვენი თქმით, სააკაშვილის გუნდს პრეზიდენტზე იმხელა გავლენა აქვს, რომ შეთავაზებაზე უარს ათქმევინებს?**

— სამწუხარო რეალობაა. ვფიქრობ, სააკაშვილს აიძულებენ გაიმეოროს ის ფრაზები, რაც დღეს მის გარშემო შემოკრებილმა აგიტატორებმა გაახმაურეს.

**— ბატონო სოსო, დავუშვათ, მაინც დანიშნეს ის ამ თანამდებობაზე. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ის შსს-დან ინფორმაციას გამოიტანს და ძალოვანი უწყებების მნიშვნელოვან საქმეებში ჩაერევა. რამდენად მისცემს ხელისუფლება ამის საშუალებას, რეალურად რაიმე ბერკეტები თუ ექნება?**

— რასაკვირველია, ამის საშუალებას არ მისცემენ. თუ მინისტრის მოადგილეს არ ჩააxედებენ სამინისტროს ბიუჯეტში, თუ არ იქნება საქმის კურსში საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარების შესახებ და სტრუქტურის შიგნით იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, არც ეს დაიმალება. ყველაზე მარტივ შემთხვევაში, ეს იქნება სარწმუნო მხილება იმ სიყალბისა, რომელიც პრეზიდენტის შემოთავაზებაში თავიდანვე იდო.

**— მაგრამ თავისი რანგიდან გამომდინარე, მინისტრის მოადგილეს არ ექნება უფლება, რომ მნიშვნელოვან საკითხებში ჩაერიოს?**

— მინისტრის მოადგილეებს თავიანთი სფეროები აქვთ. სალომე ზურაბიშვილის დანიშვნის შემთხვევაში არ გამოვრიცხავ, უმნიშვნელო ფუნქცია მისცენ. ამ შემთხვევაში დასავლეთის სახელმწიფოებისთვისაც სარწმუნო იქნება, რომ სააკაშვილის ეს შეთავაზება ფიქციაა და არა ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობის რეალური მცდელობა.

## ინფორმაცია

### ასმა პოლიციელმა ერთი აქტივისტი დააკავა

„9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან გოგიჩაიშვილი 16 ივნისს ღამით დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" „საზოგადოებრივი დამცველის" წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე იტყობინება.

როგორც მან აღნიშნა, გოგიჩაიშვილს ბრალად სდებენ ირაკლი ბათიაშვილის შვილის, ირინა ბათიაშვილის დაბადების დღის შემდეგ წყნეთში მომხდარ ინციდენტში მონაწილეობას. ირინა ბათიაშვილის დაბადების დღიდან წამოსულ ახალგაზრდებს შორის ინციდენტი მოხდა, რომლის დროსაც დავით ლეჟავა დაიჭრა.

ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, გოგიჩაიშვილი ამჟამად ე.წ. მოდულის შენობაში ჰყავთ, სადაც ძველი თბილისის რაიონის პოლიციის განყოფილებიდან გადაიყვანეს. დაკავება წუხელ მოხდა. გოგიჩაიშვილის ინტერესებს ადვოკატი ნათია კორკოტაძე იცავს.

ამასთან, „9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წარმომადგენელმა ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ გოგიჩაიშვილი სახლიდან აიყვანეს. მისივე ინფორმაციით, გოგიჩაიშვილს სახლში 100-მდე პოლიციელი შეუვარდა და დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლიდერის ლევან გოგიჩაიშვილის დაკავების ფაქტი დაადასტურა.

სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, შსს-ს თანამშრომლებმა დააკავეს 1981 წელს დაბადებული ლევან გოგიჩაიშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია 1991 წელს დაბადებულ დავით ლეჟავას მიმართ ცივი იარაღის გამოყენებით სხეულის მძიმე დაზიანებაში.

### აფხაზეთის მთავრობის წევრებს უფლებამოსილება შეუწყვიტეს

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ აფხაზეთის მთავრობის წევრებს უფლებამოსილება შეუწყვიტა და მოვალეობის შესრულება დააკისრა.

აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისად გიორგი ბარამიამ მთავრობის ახალი გუნდი დასამტკიცებლად აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ორი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ აფხაზეთის მთავრობის წევრებთან შეხვედრა გამართა და მთავრობის წევრებისგან აფხაზეთის სტრუქტურებში არსებული პრობლემები მოისმინა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## აქტუალური ინტერვიუ

***დევნილობაში მყოფ აფხაზეთის მთავრობას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. კენჭისყრის შედეგად აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მთავრობის თავმჯდომარედ გიორგი ბარამია აირჩია. სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ" აფხაზეთის მთავრობის ახალ თავმჯდომარეს იმ პრიორიტეტებსა და გეგმებზე ესაუბრა, რომლითაც ის, როგორც თავად აღნიშნავს ორი უმთავრესი პრობლემის „დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ უზრუნველყოფასა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში სრულფასოვან დაბრუნებას" აპირებს.***

# გიორგი ბარამია: ჩემთვის ორი მთავარი პრიორიტეტია – აფხაზეთი, დევნილები

**გიორგი ბარამია**: აფხაზეთი ჩემია — სისხლხორცეულად ნაცნობი და ახლობელი. სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. არასოდეს მიცხოვრია მის გარეშე. არასოდეს ჩამოვშორებივარ აფხაზეთის თემატიკას. არ შეიძლება, იქ დაბადებულმა კაცმა 24 საათი აფხაზეთზე არ იფიქროს. ხშირად მიწევდა ყოფნა ათონის მთაზე — ივერის მონასტერში და მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს ვევედრებოდი, მოეცა ძალა ქართველი და აფხაზი ხალხის ღვთის სიყვარულით შესარიგებლად, ჩვენს დასაბრუნებლად აფხაზეთში. ეს არის ჩემი ოცნება და სურვილი. ძალიან ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს. მათი აზრია, რომ „ამ უაზრო ომმა დაგვღუპა. დამოუკიდებლობას ვერ მივაღწიეთ, რუსები თავზე გვასხედან და ფაქტობრივად ამბობენ იმას, რაც რეალობაა. მაგრამ როგორც კი ამ დიალოგში ერევა მესამე მხარე, მაშინვე რადიკალური ხდება მათი პოზიცია". დღევანდელი რეალობა კიდევ უფრო მძიმეა. ადრე რაღაცას მაინც კიდევ ეკითხებოდნენ. ახლა საერთოდ არაფერს ეკითხებიან. ნომინალურად სხედან ე.წ. პრეზიდენტი და მისი აპარატი და სეპარატისტული მთავრობა, რომლის ლეგიტიმაციას თვითონ აფხაზი ხალხიც არ ცნობს. ეუბნებიან — „შენ ხარ რუსეთის ყურმოჭრილი მონა და აფხაზურ ინტერესებს არ ატარებო". დღეს სიტუაცია ძალზე დამძიმებულია. ისინი არიან თვითონ თავიანთივე ე. წ. დამოუკიდებლობის მძევლები და მიდის მიზანმიმართული გენოციდიც. მათ რუსეთთან მომავალი არ აქვთ.

**— 15 ივნისს, როდესაც თქვენ დევნილობაში მყოფ მთავრობას ჩაუდექით სათავეში, აფხაზეთი საერთაშორისო მეთვალყურეების გარეშე დარჩა. გაეროს მისიას მანდატი შეუწყდა. როგორ შეაფასებთ რუსეთის მიერ რეზოლუციაზე ვეტოს დადებას?**

— გაეროს მისია ერთადერთი საერთაშორისო სტრუქტურა იყო, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებდა მონიტორინგს. აგვისტოს მოვლენებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ის ვერ აღმოჩნდა შემაკავებელი ძალა, მაგრამ 15 წლის განმავლობაში მისიამ უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დაფიქსირების კუთხით. თუნდაც ამ მხრივ მისიის შეწყვეტა არის ძალიან ცუდი სიგნალი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ერთი ყველას წინააღმდეგ, როგორც ეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დაფიქსირდა, საერთაშორისო თანამეგობრობას გარკვეული და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას მისცემს.

კრემლმა ამ ქმედებით მორიგი აგრესია გამოავლინა და გამოიყენა ყველა საშუალება, ოკუპირებული ტერიტორიები საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის გარეშე დაეტოვებინა. გაეროს მისიის მანდატის გაგრძელებაზე ვეტოს გამოყენებით, რუსეთმა საკუთარი თავი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. ეს ფაქტი არ შეიძლება არ შეფასდეს, როგორც მტრული ნაბიჯი საქართველოს და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი, რაც სათანადო შეფასებას იმსახურებს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. უნდა შევეცადოთ, რომ საქართველოში მოქმედი ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელდეს, რათა მოსალოდნელი პროვოკაციები რუსეთისა და სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან თავიდან იქნეს აცილებული.



**— აფხაზეთი, ფაქტობრივად, საერთაშორისო მეთვალყურეობის გარეშე რჩება. რა იქნება ხვალ?**




— ახლა აუცილებელია სხვა ტიპის საერთაშორისო ჩართულობის მექანიზმზე მუშაობა, რაც უმოკლეს პერიოდში უნდა ამოქმედდეს და რაც შეიძლება ეფექტიანად.

არსებულ პირობებში კი ჩვენი მოსახლეობა დარჩება აბსოლუტურად დაუცველი. მაგრამ რუსეთს აქვს ტაქტიკა შეცვლილი. შეიძლება ისინი აფხაზებს ისე კარგად არ ექცევიან, როგორც ადგილობრივ ქართველებს. ეს ხდება თვალის ასახვევად — ეს არის მზაკვრული გეგმა. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ახალი საერთაშორისო ფორმატის შემუშავება.

**— რა იქნება თქვენი საქმიანობის პრიორიტეტი?**

— ჩვენს საქმიანობას ორი პრიორიტეტი ექნება და ეს სავსებით გასაგებია — აფხაზეთი, დევნილები. ყველა საკითხი დაუკავშირდება აფხაზეთს, მის დაბრუნებას ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, თავად აფხაზების დაბრუნებას და, რასაკვირველია, დევნილების პრობლემებს. სწორედ ეს იქნება ჩვენთვის ამოსავალი წერტილი.

რასაკვირველია, არსებობს ცალკეული საკითხები. ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ, რათა მოხდეს დევნილების პრობლემების პირდაპირი გაცნობა და ადგილზე გადაჭრა. ჩვენი საქმიანობა უფრო მობილური უნდა გახდეს. ხშირად უნდა გვქონდეს კონტაქტი დევნილ მოსახლეობასთან და, რა თქმა უნდა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთშეთანხმებით მოხდეს ამ პრობლემების გადაწყვეტა. ჩვენი მიზანია, ჩვენს ხალხს ჩვენ ვუპატრონოთ.

**— ეს პრიორიტეტი ნებისმიერი მთავრობისთვის ამოსავალია. სამწუხაროდ, ამდენი წლის განმავლობაში დევნილების წინაშე არსებული პრობლემების სრულფასოვანი გადაჭრა ვერ ხერხდებოდა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ აუცილებელია სხვა ხედვა, სხვა მიდგომები?**

— ზუსტად ამიტომ უნდა მოხდეს აფხაზეთის მთავრობის რეორგანიზაცია — საკადრო ცვლილებები და სტრუქტურული რეორგანიზაცია, რათა ყველა სტრუქტურა ეფექტიანად დაკავდეს დევნილთა პრობლემებით. ჩვენ არ ვაპირებთ პრობლემების კაბინეტებში მოსმენას და მათზე რეაგირებას რეზოლუციების მეშვეობით.

არც ერთი დევნილი არ უნდა იყოს სოციალურად დაუცველი. არ შეიძლება ადამიანები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ გაუსაძლის პირობებში. რასაკვირველია, ცენტრალური ხელისუფლება ამ მხრივ მრავალ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, მაგრამ აუცილებელია მათი ეფექტიანობის ზრდა. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად შეიცვლება მთავრობის აპარატის, ცალკეული სამინისტროების საქმიანობა.

ეს არის ჩემი უპირველესი მიზანი, რასაც ჰქვია სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება. რომ დევნილებს, რომლებიც მართლაც რომ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ, რაღაცნაირად შევუმსუბუქოთ ეს ხვედრი.

იხ. 4 გვ.

აქტუალური ინტერვიუ

# გიორგი ბარამია: ჩემთვის ორი მთავარი პრიორიტეტია – აფხაზეთი, დევნილები

(მესამე გვერდიდან)

მინდა ყველა დევნილმა იცოდეს, მეც მათი შვილი ვარ და ჩემთვის კაბინეტში ჯდომა არასოდეს იქნება თვითმიზანი. შესაბამისად, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ჩემგან მე კი ვალდებული ვარ, ვიყო მათ გვერდით.

**— რეორგანიზაცია საკადრო ცვლილებებსაც ითვალისწინებს?**

— დიახ, ეს იქნება საკადრო ცვლილებაც. მნიშვნელოვნად არა, მაგრამ თუნდაც მთავრობის აპარატში, წარმომადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება. ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ფუნქცია. ყველა უნდა მუშაობდეს ოპერატიულად და ეფექტიანად. შეიცვლება რაღაც-რაღაცები, წარმოჩინდებიან ახალგაზრდა კადრები, რომელთაც სერიოზული განათლება ექნებათ და, რა თქმა უნდა, ის ძველი რესურსი,



რომელიც არის უკვე აფხაზეთის მთავრობაში, შეინარჩუნებს თავის ადგილს.

ჩემი მიზანია, ამ ძველი კადრების გამოცდილება და ახლების ენთუზიაზმი ერთობლივად. ეს სინთეზი გადაჭრის პრობლემებს, რაც დევნილ მოსახლეობაში არსებობს.

**— სოციალური პრობლემების მოგვარების გარდა, არსებობს უმთავრესი პრობლემა — აფხაზეთში დაბრუნება. როგორია აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის ხედვა?**

— გერმანიაში სწავლის პერიოდში აფხაზეთთან დაკავშირებით ჩემი ხედვა ჩამოვაყალიბე — კონფლიქტი აფხაზეთში და მისი მოგვარების რეალური გზა. მქონდა ბედნიერება მისი პრეზენტაცია მარშალის ცენტრში გამართულიყო. მთავარი მოთხოვნა კი ძალიან მარტივად ჟღერდა — სამშვიდობო ფორმატის შეცვლა. მოთხოვნაც და ხედვაც რომ სწორი იყო, ამას თუნდაც დღევანდელი რეალობა ადასტურებს. იყო მინიშნება, რომ ფორმატი უნდა შეცვლილიყო, ან მომხდარიყო ინტერნაციონალიზაცია. პირველი შეთავაზება იყო რუსების მიმართ და მეორე იყო გაეროს საპოლიციო კომპონენტის შემოსვლა კონფლიქტის ზონაში.

მეორე მომენტი — პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან იმავე საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით. პირდაპირი კითხვების დასმა და გარკვევა — თუ რას ითხოვდა აფხაზეთი, რა შეიძლებოდა ქართულ მხარეს შეეთავაზებინა.

**— პირდაპირი დიალოგის წარმართვისათვის აუცილებელია ნდობა, რომელიც ამ დროისათვის მინიმუმამდეა. როგორ აპირებთ ამ ნდობის აღდგენას?**

— ჩვენ გვაქვს სახალხო დიპლომატია, მეგობრობის ინსტიტუტის აღდგენა და ა. შ. ჩვენ ხომ მათთან გავიზარდეთ და ვიცით მათი ხასიათი, აზროვნება. ომის შემდგომ პერიოდშიც მქონდა შეხვედრები და ვიცი, რა გულისტკივილით ლაპარაკობდნენ, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც იქ დაბეჩავებულ მდგომარეობაშია, ეშინია. არის რაღაც ჯგუფი, რომელიც კონტროლდება სპეცსამსახურების მიერ და ისინი ახვევენ თავიანთ პოლიტიკას. ადრე თვითონ ხალხი ამბობდა, რომ ქართველების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და აზრი იგივეა. მით უფრო, ამ მძიმე სოციალურ პირობებში.

პირდაპირი დიალოგი აუცილებელია. იგივე ჟენევის ფორმატი შეიძლება დღესდღეობით იმდენად ეფექტიანად არ ჩანდეს, მაგრამ აუცილებელია, იმიტომ, რომ აფხაზები ხედავენ თავიანთ ხვედრსა და საფრთხეს. ფაქტობრივად, ისინი დღეს არიან ე. წ. კულტურული გენოციდის წინაშე. მიდის რუსების ჩასახლება. მთელი ინფრასტრუქტურა, დაწყებული ტურიზმითა და დამთავრებული ნებისმიერი ბიზნესით, უკვე რუსების ხელშია, ე. წ. ახალი რუსების ხელში. თვითონ აფხაზს არაფერი დარჩა. არის ერთი ორი ბიზნესმენი, რომლებიც კონტროლდებიან რუსეთის მიერ. აქედან გამომდინარე, ისინიც ფიქრობენ — ვიომეთ, და რა მივიღეთ? დამოუკიდებლობა? ისინი გაურკვევლობაში არიან.

კავკასია ძალიან სპეციფიკური რეგიონია და თვითონ აფხაზს, როგორც ქართველსა და ნებისმიერი კავკასიელს, თავმოყვარეობის შეგრძნება მაღალ დონეზე აქვს. უნდა ვუთხრათ აფხაზებს, რომ ჩვენ არ ვართ მათი მტერი, არამედ მოძმე ერი ვართ. ჩვენი თანაცხოვრება და თვითმყოფადობა შენარჩუნდება მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობის შიგნით, რუსეთთან მიმართებაში კი ისინი საბოლოოდ ამოწყდებიან. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ასევე გამოსაყენებელია ის ხალხი, რომელიც ნორმალურად აზროვნებს. შერეული ოჯახები და ა. შ. საჭიროა დაახლოვების გაღვივება და დიალოგი.

ესაუბრა
**თემურ ჟუმბურიძე**

გულის ბუხარი

**ახლა დაიწყებენ ნაცდემაგოგები რა უქნიაო გაეროს, ეს ორგანიზაცია ხომ საერთაშორისო სალაყბოა და სხვა არაფერიო! ვისი და რომელი ტერიტორიული პრობლემა გადაწყვიტა, საქართველოსი რომ გადაეწყვიტაო! და იქნებ მართებულიც იყოს მსგავსი კითხვების დასმა. იქნებ კი არა, ნამდვილად ასეა, რომ არა ერთი „მაგრამ“...**

რომელი „მაგრამ“ და ის, რომ ამ, ერთი შეხედვით, მართლაც **იტყვი, ამაზე წონადი არგუმენტი სხვა რაღა გვინდა, ასობით ქართველის დაღუპვის, ათიათასობით ახალი ლტოლვილის გაჩენის, ასობით ქართული სოფლის დაკარგვის გასამართლებლად.**

არადა, მდგომარეობა იმდენად მძიმე და სერიოზულია, რომ საღლიცინოდ, საქილიკოდ, მით უფრო ვინმესთვის ნიშნის მოსაგებად ნამდვილად არავის უნდა ეცალოს, რადგანაც...

# „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“...

## ანუ „ვერ გაიგეთა, ქართველნო!?“

უდავო სიმართლეს, ნაცდემაგოგები ჩვეულ პროპაგანდას მოაყოლებენ, როგორც აგვისტოს ომის შემდეგ გვიმტკიცებენ, ისე ახლოს არასდროს ყოფილა საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, როგორც აგვისტოს „ძლევამოსილი“ ომის შემდეგო! ჰოდა, ალბათ ახლაც ამ მიმართულებით „დაგვაბოლებენ“ — აფხაზეთში გაეროს მისიის შეწყვეტა აფხაზეთისკენ ქართველების მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯიაო!

თუმცა „მოაყოლებენ“ რას მიქვია, უკვე მოაყოლეს და მეტი არა? ჯერ იყო და გაეროში ჩვენი უტვინო დესპანი კახა ლომაია პან გი მუნის დაშანტაჟებაზე ალაპარაკდა. მერე იყო და, სულ ახლახან პრეზიდენტმა თავის მონებთან, ე. წ. საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრაზე დაახეთქა — აგვისტოს ომის მთავარი პლიუსი თურმე ის ყოფილა, რომ რუსეთს საბოლოოდ ჩამოვგლიჯეთ ნიღაბი.

**თუ შევარდნაძეს ვერაფრით ათქმევინეს, რუსები გვებრძვიან აფხაზეთშიც და ცხინვალშიცო, მიშამ თქვა კი არა, პირდაპირ ომში ჩაება, სადაც მისი მტკიცებით იმხელა ძალას შეაწყვიტა ქართული ჯარი, რამხელაც თავის დროზე სსრკ-ს არც უნგრეთში (1956 წ.) და არც ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.) არ გამოუყენებია??? ვერაფერს შეხედავ,**

### აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო საქართველოს მცოცავი ანექსია

**და ის, რაც გაეროში მოხდა, ამ გზაზე რუსეთის მიერ კიდევ ერთი გადადგმული დიდი ნაბიჯია, რადგან, რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკონ ზოგადად „გაეროს“ არაეფექტიანობაზე, მისი მისია აფხაზეთში სუსტი, მაგრამ მაინც რაღაცა ბარიერი იყო რუსეთის მადის შესამცირებლად.**

ახლა კი ყველაფერი დომინოს პრინციპით წავა. ანუ, დროის ამბავია ის, რომ რუსეთ-ნიკარაგუა-ჰამასის გარდა, სხვებიც გამოჩნდებიან, ვინც აფხაზეთ-ცხინვალის დე ფაქტო დამოკიდებულებას დე იურედ აღიარებს. მით უმეტეს, რომ ამის პრეცედენტი არსებობს კოსოვოს სახით.



ეგა ბიჯო, ჩურჩხელა კი არ არის.

**იქნება ახლა მაინც დავფიქრდეთ ჩვენთვის ამ არასასურველ, რეალურ პერსპექტივაზე? ანუ, იქნება გავიგოთ, რაც „ვერ გაიგეთა ქართველნო?“ რომ საქართველოს გადარჩენის გასაღები თუ თბილისში არ არის და სხვაგან დევს, ეს „სხვაგან“ მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვშია და არავითარ შემთხვევაში ვაშინგტონში. მით უმეტეს „გაეროს“ ე. წ. საქართველოს მეგობარ ქვეყნებში, რომლებსაც, თურმე ნუ იტყვით და, აფხაზეთში მისიის შეწყვეტის გამო მწუხარება (სამძიმარი — ავტ.) გამოუთქვამთ.**

იქნებ ახლა მაინც დავანებოთ თავი ურაპატრიოტულ ბრახაბრუხს? რაც პირველ რიგში ხელისუფლებას ახასიათებს, მაგრამ არც ოპოზიციაა ამ მხრივ უცოდველი? ნურც იმით გვაიმედებენ, რომ საქართველო ადრეც კარგავდა ტერიტორიებს და მერე იბრუნებდა. ასეთი შემთხვევები მართლაც არის ჩვენს ისტორიაში, მაგრამ საპირისპირო მაგალითი ბევრად უფრო მეტი რომ არის?! ლამის ნახევარი თურქეთი ჩვენი არ იყო? იგივე ჰერეთი, ლორე-ტაშარი. რომელიმეს დაბრუნებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება.

**ამიტომაც სასწრაფოდ არის მოსანახი რუსებთან მიმავალი გზები. თუ უკვე გვიან არ არის. თუ არა და ზუმბას და იმ კლიპში მონაწილე სხვა ცუმპა-რუმპებს ვთხოვ, სასწრაფოდ გადაიღონ ახალი კლიპი — გამარჯობა, აფხაზეთო შენი, გამარჯობა, ზდრასტი-დასვიდანია.**

**თუმცა დასვიდანია კი არა, სამუდამოდ პრაშჩაი!**

დავით მხეიძე

ინფორმაცია

### რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონტინგენტს შეამცირებს

**რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების პირადი შემადგენლობების რაოდენობის შემცირებას გეგმავს. ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის გენშტაბის უფროსმა გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა რუსული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

**ალსანიშნავია, რომ ადრე რუსეთის გენშტაბი აცხადებდა, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე თითოეულში 3.700 სამხედრო იქნებოდა განლაგებული.**

**ამ სამხედრო ბაზებზე არსებულ სამხედროთა რაოდენობა შემცირდება, იმის გამო, რომ ადრე დაგეგმილი სამხედროთა რაოდენობა როგორც ჩანს ზედმეტია. იქ არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები, რომლებსაც თავისი ამოცანები აქვთ შესასრულებელი. ჩვენი სამხედრო ძალა კი ამ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვისა და ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იმყოფებიან. — აცხადებს ნიკოლაი მაკაროვი და დასძენს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების შექმნისა და კეთილმოწყობის ვადები იგივე რჩება.**

### ადამიანის უფლებათა დაცვას არსენიშვილი პარლამენტის ბლოკირების გამო ვერ ახერხებს

**„ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო მოქალაქეების პეტიციებისა და განცხადებების განხილვის შეფერხებაზე საუბრობს.**



**აღნიშნული განცხადება გია არსენიშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე გააკეთა.**

**დეპუტატის თქმით, მისი კომიტეტი ყოველ ოთხშაბთს მართავს მოქალაქეების მიღებას, პარალელურად, კომიტეტში შედის უამრავი განცხადება, რომლებსაც ექსპერტები განიხილავენ.**

**მას შემდეგ, რაც პარლამენტის მუშაობა რიგი მიზეზების გამო შეფერხდა, აღნიშნული განცხადებების განხილვას და, შესაბამისად, მოქალაქეების ინტერესების გატარებას მნიშვნელოვნად შეეშალა ხელი, — აღნიშნა არსენიშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, 1 აპრილის ჩათვლის კომიტეტში 816 განცხადება იყო შესული და მათი უმრავლესობა მოქალაქეების სასიკეთოდ კმაყოფილდებოდა, თუმცა ეს პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ხედვა ოკეანის გაღმიდან

1 ივნისი ამერიკაში ბავშვთა დაცვის დღედ და კენიის დღედაც აღინიშნა, ხოლო ა.წ. — ის მთელი ივნისი ამერიკაში არა მარტო ბავშვთა მხარდამჭერ თვედ, არამედ სექსუალურ უმცირესობათა თვედაც აღიარეს. ჰოდა, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ განაცხადა, რომ „თავისუფლება გულისხმობს თავისუფლებას ყველასთვის“ და ამიტომ ჩემი ლესბოსელი ქალიშვილი, რომელსაც აგერ უკვე 17 წელია ერთი და იგივე ქალი უყვარს, მხარდაჭერის ღირსიაო. ცოტა ადრე კი ობამამ გვითხრა, რომ ჰომოსექსუალებს პატივს სცემს, სამოქალაქო ქორწინებაში მათ ყოფნას მიესალმება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ოფიციალურ კავშირს. სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინთონი კი მის დეპარტამენტში თუ მთელს მსოფლიოში მიმოფანტულ ამერიკელ „გეებს“ მიესალმა, პროფესიონალიზმისთვის მადლობა გადაუხადა და მათ ოფიციალურ ქორწინებას მხარიც დაუჭირა. ასევე მოითხოვა მან ჩრდილოეთ კორეაში დაპატიმრებული ამერიკელი ჟურნალისტების გათავისუფლება. ერთ გუნდში ამ მიზეზით არსებული განსხვავება ნამდვილად არ აისახება ობამა-კლინთონის პოლიტიკურ ტანდემზე. არც ის, რომ საპრეზიდენტო რბოლის დროს ჰილარი ობამას მუსლიმანობას ხაზს უსვამდა, ობამა კი ირწმუნებოდა, რომ სულით ხორცამდე ქრისტიანი იყო. ქაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას კი მან თავის მეორე სახელს „ჰუსეინს“ მაქსიმალური „ბენეფიტი“ გამოსწურა და ისიც დაამატა, რომ მისი, როგორც პრეზიდენტის მოვალეობა, სტერეოტიპების ნგრევაა...

კენია ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მამის სამშობლოა. მაგრამ მის შორეულ ფესვებს მარტო ობამების ოჯახის წევრები კი არ ეძიებენ, არამედ მეგობარი ევროპელებიც. ევროპაში ობამას წინა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ მისი გენეოლოგიური ხის ფესვები ბრიტანეთის მიწაშია, ეგვიპტე-გერმანია-საფრანგეთ-ბრიტანეთში მოგზაურობისას კი ისიც გაირკვა, რომ რომ ამერიკელი პრეზიდენტის შორეული ნათესავი ბაბუა გერმანიას ფაშიზმისგან ათავისუფლებდა თურმე. სამშობლოში კი გრძელდება უკვე ლამის ჩვევად ქცეული ობამამანია — მინესოტაში ერთ-ერთ სკოლას მიშელ და ბარაკ ობამას სახელი დაარქვეს, ტეხასში აფრო-ამერიკელი პრეზიდენტის ბიუსტის დადგმას აპირებენ (ამერიკელები ხუმრობენ, დაკოტაში კლდეში გამოკვეთილ ოთხ პრეზიდენტს ობამას თავი ხომ არ მივუმატოთო...), ხოლო პირველი ლედის მზის სათვალე თუ ახალი ქამარი პოლიტიკურ „ნიუსებთან“, ჩრდილოეთ კორეის „ხულიგნობის“, მექსიკაში ხანძრის შედეგად 44 ბავშვის დაღუპვის ამბავთან ერთად უყურადღებოდ არ რჩება. მიშელს ლამის ამერიკის ახალი სტილის დამფუძნებელს უწოდებენ და ძალიან მოსწონთ თუ როგორ საქმიანობს იგი თეთრი სახლის ბოსტანში და მოუწოდებს ამერიკელებს რეცესიის პირობებში მებოსტნეობა-მებაღეობით, ჯანსაღი საკვებით ასეთი მარტივი ხერხით მომარაგდნენ.

ამერიკელებს ბევრი რამ არ მოსწონთ ახალი პრეზიდენტის, თუმცა ამავე დროს მოსწონთ და უფასებენ იმას, თუ როგორ ცდილობს ობამა არა მარტო ამერიკელებს, არამედ დასავლეთს, აღმოსავლეთსა და სამყაროს სხა მხარეებს მოაწონოს თავი. ამიტომ სიხარულის კივილით ხვდებიან, როცა იგი კოლეგებთან ერთად უპიჯაკოდ „ჰოთდოგის“ საყიდლად შედის, თითქოს წითელ ხალიჩაზე მოსეირნე ქალთა ოცნება ბრედ პიტი იყოს. ასევე დიდად არ კიცხავენ, როცა ლეგენდარული GM-ის გაკოტრების ოფიციალურად გამოცხადების დღეს ქვეყნის მთავარი კაცი ცოლთან ერთად საკუთარი ვერტმფრენით ნიუ-იორკში ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში რომანტიკულ ვახშამზე გაემგზავრა. რის გამოც CNN-მა ფრენკ სინატრას დროინდელი „Come Fly With Me“ დაადევნა, ხოლო „ღამის შოუმ“ — არაორაზროვანი ქარაგმა საპრეზიდენტო წყვილის ვნებიანი ღამის შესახებ. CNN-მა კვლავ ფრენკ სინატრას, ოღონდ „New York, New York“ არ დაიშურა დემოკრატი ვიცე-პრეზიდენტის კონკურენტი რესპუბლიკელი სარა პეილინის მსოფლიოს დედაქალაქში ჩამოსვლისთვის და აჩვენა, როგორი შეძახილებით ხვდებიან ალიასკის ასევე არა „რედკარპეტიან“ მთავარ ქალის სვლას დიდი ვაშლის ქალაქში, თითქოს იგი მამაკაცების მუდმივი ნატვრა — ანჯელინა ჯოლი იყოს.

თუმცა, ამ გლამურის უკან ქველმოქმედებაც, პოლიტიკური დებატებიც და უკვე დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიაც ილანდება. გამოკითხვების მიხედვით, რესპუბლიკელი სარა პეილინი 2012 წლის არჩევნების საპრეზიდენტო კანდიდატთა სიაში მეორე პოზიციაზეა. პეილინი აუტიზმით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად ფულის შეგროვების კამპანიას აწარმოებს (თავად ჰყავს დაუნის სინდრომიანი შვილი) და ობამასაც აკრიტიკებს. გლამურისა და პოლიტიკის გარჩევა უკვე საკმაოდ რთულ საქმედ გადაიქცა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. ამერიკა თავის სტილშია და არც აპირებს არც თავისი თავის ღალატს და არც რეცესია-ომების მიუხედავად მუსიკასა და გართობაზე უარის თქმას. მალე ვაშინგტონში უზარმაზარი ჯაზ-ფესტივალი გაიმართება.

ხუმრობა იქეთ იყოს, მაგრამ ერთადერთი რამ, რაც მართლაც არ ჩამოდის გლამურ-პოლიტიკური დებატების სიმაღლიდან, ეს ბარაკ ობამას მიერ ქაიროში წარმოთქმული სიტყვაა, მეტადრე მის მიერ ჰოლოკოსტისა და პალესტინელების მდგომარეობის შედარება და ერაყის ომისთვის „არჩევანის ომის“ წოდება. ალბათ, ასევე ლუპის ქვეშ განიხილავენ ბარაკ ობამას საუბარს რუსეთის პრეზიდენტ მედვედევთან. თუმცა, სავარაუდოდ, ეს შეხვედრა ყველაზე უფრო საქართველოსთვის იქნება საყურადღებო. ასევე ვვარაუდობ, რომ მედვედევი დიდ აქცენტს არ გააკეთებს კრემლის მიერ ინსპირირებულ „ხოდორკოვსკულ ვნებებსა“ და მისთანანზე. ობამას სხვა მიზანი ექნება — ამჯერად თავი რუსეთს მოაწონოს. მერმე კი პოლიტანალიზის სფეროში დიდხანს დაისადგურებს გაეროს უშიშროების წევრ, ატომური იარაღის მქონე ორპოლუსიანი მსოფლიოს შემქმნელთა მიმართება ჯერარაატომურ ირანთან და თალიბანთან.

ინდური წარმოშობის ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგ ფარიდ ზაკარიას მიერ დამკვიდრებული „პოსტამერიკული სამყარო“ უკვე ყბადაღებული ტერმინი გახდა. რა ელოდება სამყაროს თუ ე.წ. „მსოფლიო ჟანდარმმა“ ამ ფუნქციის შესრულება ველარ შესძლო ან აღარ მოინდომა? სანამ პოლიტოლოგები ამ საკითხზე თავს იმტვრევენ, „Freedom House“-მა ამერიკის „სტრატეგიული მოკავშირეები“ ჩინეთი და რუსეთი ავტორიტარულ რეჟიმების კულტივირებაში დაადანაშაულა. ბუში შარშან ზაფხულში სიხარულით პოზირებდა კამერის წინ ჩინეთში ჩასულ ამერიკელი სპორტსმენი ქალების ფონზე, სულ მალე კი ობამა კრემლში პუტინ-მედვედევის კაბინეტს ესტუმრება. ამგვარი დიპლომატიის კრიტიკა-ქების პარალელურად ექსპერტები თანხმდებიან ერთ რამეზე. ამერიკის საგარეო პოლიტიკა რუსეთის „პერეგრუზკა-პერეზაგრუზკა“ და ასევე პოპულარული „სამშვიდობო პროცესი“ პოლიტიკური მესიჯების ტონის შეცვლას უფრო ჰგავს, ვიდრე გააზრებულ სამოქმედო გეგმას, ანდა დოქტრინას (ჯერჯერობით მაინც). თანაც თუ გავიხსენებთ პუტინის მიერ არაერთხელ ციტირებულ ბისმარკს „სურვილები არაფერია, შესაძლებლობები კი — ყველაფერი“, ოპტიმიზმის გრადუსმა შეიძლება საგრძნობლად დაიკლოს. ამერიკელი ექსპერტები ასეთ არაგლამურულ კითხვასაც სვამენ: ობამას პოპულარულობას მისი პოლიტიკის ეფექტიანობა ხომ არ ეწირებაო?

რუსეთმა 2 თვის წინათ ისრაელისგან უპილოტო თვითმფრინავების შესყიდვა დაიწყო, რათა 2008 წლის ომის „ლაფსუსი“ გამოასწოროს. მიჰყიდა თუ არა იარაღი ამერიკამ საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, ეს უცნობია. ყოველ შემთხვევაში ამ ინფორმაციას ვერსად შეხვდებით. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე კომენტარი ვთხოვე პოლიტოლოგს, ჰადსონის ინსტიტუტის მოწვეულ პროფესორს ანდრეი პიონტკოვსკის.

# „ყველას ავიწყდება, რომ ეთნიკურ წმენდას კოსოვოში სერბები ატარებდნენ, ხოლო ქართველთა ეთნიკურ წმენდას — აფხაზები“

— ანტიამერიკანიზმი ეს არ არის აშშ-ის მხოლოდ კრიტიკა ამა თუ იმ მოქმედებების გამო. — მითხრა ანდრეი პიონტკოვსკიმ. — კრიტიკა არის სავსებით ბუნებრივი პროცესი, რადგანაც ამერიკელები დრო და დრო დიდ სისულელეებსაც სჩადიან. ანტიამერიკანიზმი ეს არის ცნობიერების მყარი სტრუქტურა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფუნქციებს ასრულებს. საკმარისია შევხედოთ ამ სინდრომით დაავადებულ თითქმის მთელს ამერიკულ „ელიტას“, თუმცა იგი უფრო დამახასიათებელია ისლამური „ელიტებისთვის“, ისევე როგორც რუსი „ძმებისთვის“, რომლებიც თავისი ხალხის მასობრივ ცნობიერებაში იდეოლოგიურ ანტიამერიკანიზმს საკუთარი ლეგიტიმაციისთვის ნერგავენ.

**— ობამა სადაც მიდის, იქაურ ქუდს იხურავს. ეს მის მოქნილობად თუ სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს?...**

— ამერიკის პრეზიდენტის არანაირი საუბრები, ასჯერ ჰუსეინიც რომ იყოს, მუსლიმანურ სამყაროში არავის არასოდეს გადაარწმუნებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისთვისაც ანტიამერიკანიზმი არის ერთდროულად ტკბილი ნარკოტიკი და მომგებიანი პოლიტიკური ბიზნესი. ობამას „პერეგრუზკა“ ყველა მიმართულებით, მათ შორის რუსეთის, გასაკვირად მიამიტია და დაფუძნებულია „პარტნიორების“ მოტივაციის სრულ არგაგებაზე. ამერიკის პრეზიდენტს ელოდება დიდი განზილებები, ხოლო ამერიკის საგარეო პოლიტიკას — დიდი ჩავარდნები. თუმცა ეს ამერიკელებმა უკვე გაიარეს კარტერის დროს. მაგრამ კარტერის მერე გაჩნდა რეიგანი. თუმცა ვეჭვობ, რომ ახალი რეიგანი ამერიკის საზოგადოებას კვლავ მოევლინოს. რადგანაც ეს საზოგადოება ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალა.

**— როგორ ფიქრობთ, ფარიდ ზაკარიას „პოსტამერიკული მსოფლიოს“ ხანა უკვე დადგა?**

— ეს ტერმინი ზაკარიამ ნეგატიურ კონტექსტში ახსენა და მე მეშინია, რომ ეს „პოსტამერიკული მსოფლიო“ ობამასა და დღევანდელი ამერიკული ადმინისტრაციის რედაქციით დაიყვანება ახალი პოლიტიკიდან ამერიკის წასვლით. ობამას გამოსვლები სავსეა გაუთავებელი მონანიებებით, რომ ამერიკაა დამნაშავე. მან მოინანია ირანის წინაშეც. რაღაც ისე გამოდის, თითქოს შეცდომები გაუთავებლად მხოლოდ ამერიკას მოსდის; ახლა კი იგი გამოსწორდება და აღარაფერს დააშავებს. გამოსვლების ქვეტექსტი კი ის იყო, რომ ყველაფერში დამნაშავეა ბუში - ჩეინის სისხლიანი რეჟიმი, ისინი არიან ყველაფრის გამფუჭებლები და ახლა მე, ობამა ვარ ასეთი კარგიო, ამიტომ ახლა ყველამ მე უნდა შემიყვაროსო. ჰო, მუსულმანებს ძალიან მოეწონათ ობამას ეს სიტყვა და სწორედ ამიტომაც ისინი ხვალ პრაქტიკულ შედეგებს მოითხოვენ. პრაქტიკული შედეგი კი ეს არის ისრაელის ჩაბარება, ირანის ატომური იარაღისადმი შეგუება და თუ უფრო ახლოს ჩვენს პრობლემებს მივუახლოვდებით, ეს არის უკრაინისა და საქართველოს ჩაბარება. ხომ ხედავთ, აღარ დგას აქტუალურად საქართველოს ნატოში მიღების საკითხი. არსად მსმენია, იმის შესახებ, მიჰყიდა თუ არა ამერიკამ საქართველოს იარაღი თუ იგი საქართველოს მარტოდ და დაუცველად ტოვებს? ასეთი „პერეზაგრუზკა“ მიგვიყვანს „პოსტამერიკული მსოფლიოს“ უარეს ვარიანტამდე. თუ გნებავთ ასეც ვთქვათ: ამერიკა საერთაშორისო შერიფის როლს სცილდება და მთელს მსოფლიოს ლოკალური ნაძირლების — აჰმადინეჯადისა და პუტინის — ამარა ტოვებს.

**— აკი ობამა ამერიკის საერთაშორისო იმიჯს ამყარებსო, მთავარია, ცდილობს და თანაც გამოსდისო?**

— ობამა ქაიროში ძალიან რბილად საუბრობდა. ის ცდილობდა, რომ ეგვიპტელებს მოსწონებოდათ და მოეწონათ კიდეც. ქვეყანა - მარგინალებმა კი ეს ასე გაიგეს: 1. ეს ადამიანი სუსტია. 2. იგი მზადაა ისრაელი ჩააბაროს. რეაქციების მიხედვით, არაბულ ქვეყნებში ობამას ტექსტი „ურაზე“ გავიდა.

არაბული და რუსული ელიტები განა იმიტომ ვერ იტანენ ამერიკას, რომ ამერიკამ რაიმე ცუდი გააკეთა და თუ კარგს გააკეთებს, მას მაშინვე შეიყვარებენ? ეს საჭიროა შიდაპოლიტიკური მიზნებისთვის, საკუთარი რეჟიმების შენარჩუნებისთვის, ნებისმიერი უკმაყოფილების დასათრგუნად და ამის გარდა ეს ფსიქოლოგიური განტვირთვაცაა. ისინი ასევე გრძნობენ თავიანთი ელიტური მდგომარეობის მეორადობას. ანტიამერიკანიზმი ხომ ძირითადად ელიტებს სჭირდებათ, მესამე ქვეყნებს, ეგვიპტიდან ვიდრე რუსეთამდე. მაგალითად, ეს არ არის დაჩაგრულთა ბუნტი აშშ-ის წინააღმდეგ. პირიქით, ესაა ძალიან პრივილიგირებულთა ბუნტი, რომლებსაც ამერიკის არსებობა ფსიქოლოგიურად ვნებთ.

**— ობამას სიტყვა კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა ჰოლოკოსტისა და პალესტინელების ჩაგვრის შედარების გამო. რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ობამა, რომ ამერიკის ახლოაღმოსავლელი, თანაც ძველი მეკავშირე დასუსტდეს, თუნდაც რიტორიკის დონეზე?**

— ის დაინტერესებული კი არაა ამაში, არამედ მას, უბრალოდ, მისი დაცვა არ უნდა. აი, რა ლოგიკაა ამ პოლიტიკაში? ჩვენ უნდა ვიმეგობროთ კრემლთან, რადგანაც მედვედევი და პუტინი ძალიან მნიშვნელოვანია, ავღანეთი, ერაყი და საქართველო, ისრაელი კი შეიძლება გავცეთ.



მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 11 სექტემბერი სწორედ ამერიკაში იყო. ობამას პოზიცია ასეთია: თუ ჩვენ ისრაელს ჩავაბარებთ, ტერორისტებმა იქნებ თავი დაგვანებონ; თუ ჩვენ საქართველოს ჩავაბარებთ, იქნებ პუტინმა თავი დაგვანებოსო. ეს სულელური ფილოსოფიაა. უპირველეს ყოვლისა, თავს სულაც არავინ დაგვანებებს და პირიქითაც მოხდება.

**— კავკასიაში, ფაქტობრივად, ამერიკის მოკავშირე საქართველოა, როგორც ახლო აღმოსავლეთში — ისრაელი... მოკავშირის ჩამოშორება რა სტრატეგიაა?**

— აქ ასეთი ფილოსოფიაა: პატარა მეგობრები არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც დიდი.

**— ჰო, მაგრამ პუტინი მაინც ვერ არის 100 პროცენტით კავკასიაში, თანაც ობამამ თქვა: აღარ იქნება „გავლენის სფეროებიო“...**

— რა, ჩეხეთი არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის მეგობარი, როცა იგი 1938 წელს ჰიტლერს ჩააბარეს? მაშინაც იგივე მოსაზრებები არ იყო? ჩეხოსლოვაკია მეგობარია, მაგრამ დიდ გერმანიასთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანიაო...

**— თქვენ გინდათ თქმა, რომ სუდეტის მერე არაფერი შეცვლილა?**

— ეს ტიპური მიუნჰენის პოლიტიკაა. ე.წ. დამშვიდების პოლიტიკა.

**— ამ შეხვედრას საქართველო იმედის პატარა ნაპერწკლით ელოდება. რუსეთმა დაგვიპყრო, საქართველოდან ეუთო წავიდა, გაეროს მისიამაც შეიძლება დაასრულოს თავისი მოღვაწეობა... ახლა ობამამაც თუ ხელი დაიბანა?..**

— მე ხომ ცუდი გუნება-განწყობილების გამომსწორებელი არა ვარ? ეს არის მწარე სიმართლე და ამის თქმა ჩემი მოვალეობაა. რას გირჩევდით? ქართულ დიპლომატიას ვურჩევდი, უფრო გააქტიურდეს, რადგანაც არიან ადამიანები, რომლებიც ობამას ამგვარ პოლიტიკას არ ემხრობიან, ამბობენ, ასეთი პოლიტიკა ამერიკის კატასტროფას გამოიწვევსო. უნდა ილაპარაკოთ კონგრესში, ამერიკული საზოგადოების ყველა დონეზე.

იხ. 6 გვ.

## ინფორმაცია

# მცხეთა-მთიანეთს სტიქიამ უდიდესი ზარალი მიაყენა

16 და 17 ივნისს ძლიერი წვიმების შედეგად ქვეშეთის თემში ადიდებულმა წყალმა საყრდენი გამოაცალა და ჩააგდო 600-მეტრიანი ხიდი ქვეშეთი-სეფის მიმართულებით. ასევე ადიდდა მლეთის ხევი და საშიშროება ემუქრება 7 ოჯახს.

ძლიერი წვიმის შედეგად, კვლავ დაზარალდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები — ნადარბაზევი და ჟილაურა, ძირითადად განადგურებულია ნათესები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის თემში ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების შედეგად ადიდდა ჟულისი-ვაშლობის ხევი და მთლიანად დააზიანა 7-კილომეტრიანი გზა, ჟულისი-ვაშლობის ხეობის 30 კომლი მოწყვეტილია ძირითად გზას.

ჭონქაძის თემში მოწყვეტილია ფოტეს ხევის ჯებირები, რაც საშიშროებას უქმნის სოფელ არაგვისპირის მოსახლეობას. ასევე საგრძნობლადაა დაზიანებული სოფლებთან მისასვლელი გზები.

ჟინვალის თემში ჩაკეტილია ქვემო არანისის გზა ხევის პირზე (შემოვლითი გზები სუფთაა). ზემო არანისში გზა დახრამულია და მიმოსვლა გართულებულია. გრუნტით არის ამოვსებული თვალიერების ხევი, რის გადმოსვლის შედეგადაც საფრთხის ქვეშაა თვალივი-გუდრუხის სოფლები. ჩამოსული მეწყერების შედეგად დანგრეულია და ჩამორეცხილია პავლეური-ხორხის გზა და მიმოსვლა შეუძლებელია.

ანანურის თემში სოფელ ჭივილაანებში სამანქანე ხიდზე გადმოსულია მდინარე არაგვი.

ლაფანაანთყარის თემში ხელმეორედ წამოღებულია ქერიაანთყარი-წითურების გზა, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ იყო შეკეთებული. ასევე ადიდდა მაღრანის და ლაფანაანთყარი-დავათის ხევი და წამოღებულია ქვა-ღორღი.

ჭოპორტის თემში სოფელ ბულაჩაურში ასევე ჩამოტანილია ქვა-ღორღი. ადიდებული ხევის შედეგად მოძრაობა შეფერხებულია.

სოფლებს: ოძისს, ქსოვრისს, ილტოზს, ვაზიანს, ვარდისუბანს და ნაწილობრივ მუხრანს არ მიეწოდებათ წყალი.

[illegible]

ხედვა ოკეანის გაღმიდან

# „ყველას ავიწყდება, რომ ეთნიკურ წმენდას კოსოვოში სერბები ატარებდნენ, ხოლო ქართველთა ეთნიკურ წმენდას – აფხაზები“

(მეხუთე გვერდიდან)

როგორც მახსოვს, ბაიდენმა საქართველოს მეგობრად გამოიდო თავი. რა საკვირველია, რუსეთთან ურთიერთობები უნდა დარეგულირდეს, მაგრამ არა საქართველოს ხარჯზე. ეს საკითხები ქართულმა დიპლომატიამ უფრო მაღლა უნდა დააყენოს. ჩემი მოვალეობა კი სიმართლის თქმა და იმ ტენდენციებზე საუბარია, რომლებსაც მე ვხედავ. განგაში უნდა ატეხოთ. ამერიკა ჯერ კიდევ დემოკრატიული ქვეყანაა და საკითხი სერიოზულად უნდა დადგეს. ამერიკის კონგრესს საქართველო-ამერიკის ქარტია არ გაუუქმებია, საქართველო აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორია და ახალი აგრესიის მოლოდინში თქვენ ამერიკას უნდა მოსთხოვოთ, რომ მოგყიდონ რაკეტ და საჰაერო თავდაცვის სისტემები, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, ანუ თავდაცვითი დანადგარები. სწორედ იმიტომაც გაჰყვირიან პუტინი და მედვედევი საქართველო იარაღდებაო, რომ თქვენ უიარაღოდ დარჩეთ.

**— მედვედევთან ობამას ჩასვლა იმის მაჩვენებელი ხომ არ იქნება, რომ მასპინძელი ცოცხალია და სულაც არაა ავად?**

— მედვედევი ობამას ვიწრო მიმართულების მიღწევებს უჩვენებს. მაგალითად, ახლა ატომური იარაღის შემცირების თაობაზე მიდის მოლაპარაკებები. ეს იქნება „დიდი მიღწევა“, თუმცაღა ეს შემცირება მხოლოდ რუსეთს „სჭირდება“, რადგანაც რუსეთი ისედაც ამცირებს თავისი ატომური იარაღის რაოდენობას, რადგანაც მას არ შეუძლია მისი შენახვა. ფაქტობრივად, ეს შეთანხმება იქნება ამერიკული ატომური იარაღის შემცირება, მაგრამ ობამას ადმინისტრაცია ამას დიდ მიღწევად თვლის, ამიტომ მედვედევ-პუტინს ობამა ამ კაუჭზე ჰყავთ დაჭერილი. კრემლს ესმის, რომ ობამას ეს განიარაღება ძალიან სჭირდება წმინდა წყლის პროპაგანდისტული, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და ამაზე მზად არიან წავიდნენ. იმიტომ მათ ხელს აძლევს. რუსეთმა ამ განიარაღებისთვის სხვადასხვა პირობები უკვე მოითხოვა.

**— ობამა ამას იმიტომ აკეთებს, რომ ბუშის ბოსტანში კიდევ ერთი ქვა ისროლოს?**

— დიახ. იგი ლამის ყოველდღე ბუში-ჩეინის სისხლიან რეჟიმს ახსენებს. ჩემი აზრით, ობამა არც ისე ჭკვიანი ადამიანია. კარტერიც ყველას უთმობდა და თვლიდა, რომ ამერიკაა ყველაფერში დამნაშავე.

**— ბუშის მმართველობის დროს მოხდა კოსოვოს აღიარება და დასავლეთი და რუსეთიც ამბობდა, რომ კოსოვოს აღიარება გახლდათ აგვისტოს ომის ბიძგი. ბერძენი ორლი ბი დორსი კი წერს, რომ ფაქტობრივად, კოსოვოს აღიარებით ამერიკამ რუსეთის დანგრევა-დანაწევრებას მისცა ბიძგი, იმიტომ, რომ კოსოვოს აღიარებით წამოსული ინერციით (შუა რგოლი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება) ახლა თავად რუსეთი შეეჯახება „ნაცუმცირესობათა“ თვითგამორკვევის დიდ ტალღას.**

— ეს მიზეზი რომ არ ყოფილიყო, სხვა მიზეზი იქნებოდა. ასე რომ, კოსოვო სულ სხვა პრობლემაა. ყველა პრობლემა, მათ შორის თქვენიც, თავისებურად უნიკალურია. კოსოვო აღიარა 60-ზე მეტმა ქვეყანამ; აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ფაქტობრივად, არავის უღიარებია. ეს სხვადასხვა მაგალითია. ჰო, მომავალში შესაძლებელია ნაცუმცირესობებმაც მოითხოვონ დამოუკიდებლობა, მაგრამ ამერიკა, როცა კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებდა, ალბათ, ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ ეს რუსეთის დანგრევას გამოიწვევდა.

ამდენმა ქვეყანამ კოსოვო იმიტომ აღიარა, რომ სერბები კოსოვოელებს საშინლად მოექცნენ და კოსოვომ დამოუკიდებლობა დაიმსახურა. ყველა, ვინც კოსოვოსა და საქართველოს პრობლემას ადარებს ერთმანეთს, ავიწყდება, რომ ეთნიკურ წმენდას კოსოვოში სერბები ატარებდნენ, ხოლო ქართველთა ეთნიკურ წმენდას — აფხაზები.

**— ჰო, მაგრამ ეს უკვე მეორე პლანის „დეტალებია“ და ამას აღარ ახსენებენ პოლიტიკური რიტორიკისას. „მთავარია“ კოსოვოს პრეცედენტი შეიქმნა.**



— კოსოვო, რა, პირველი ქვეყანა იყო, რომელიც აღიარეს? პრობლემა კოსოვოს აღიარებაში კი არაა, არამედ იმაში, რომ დიდი ხანია რუსეთს უნდოდა საქართველოს გასწორებოდა. კოსოვო კი, როგორც ხელსაყრელი მიზეზი, ისე გამოიყენეს. კოსოვო დამოუკიდებელი პრობლემაა და მას არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოსთან. ბოლოს და ბოლოს ამერიკამ აღიარა ხორვატია, სლოვენია, ჩეხოსლოვაკია, თავად საქართველო... რას ჩააცივდნენ ამ კოსოვოს? ამგვარ ხმებს ავრცელებენ არა მარტო რუსი პოლიტტექნოლოგები, არამედ ამერიკელებიც. ამერიკულ მედიაში მუშაობს ხალხი, რომელიც კრემლიდან ფინანსდება.

**— საქართველოში თავისუფალი არჩევნები ქვეყნის წინსვლის პანაცეადაა მიჩნეული. დასავლეთი პალესტინას თავისუფალ არჩევნებს აძალებდა, ჩატარდა თავისუფალი არჩევნები და მოვიდა „ჰამასი“...**

— ფარიდ ზაქარიამ, რომელიც თქვენ დასაწყისში ახსენეთ, დაწერა წიგნი „თავისუფლების გზა“. მან აღწერა ორი სახის დემოკრატია: კონსტიტუციური დემოკრატია — ადამიანის უფლებებით, გარანტიებით უმცირესობებისთვის, პრესის თავისუფლებითა და ე.წ. ელექტორალური დემოკრატია, როცა არჩევნები ტარდება, მოდის დიქტატორული რეჟიმი, რომლისთვისაც კონსტიტუციური დემოკრატიის პრინციპები აბსოლუტურად მიუღებელია.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, ვაშინგტონი (აშშ)

გლობუსი

ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლირებადი და თვითცენზურით გაჯერებული ტელეკომპანიების გადაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყანაში საგრძნობი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა და პოლიტიკური სტაბილურობაა, მსოფლიოს ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები დღე და ღამ ასწორებენ საქართველოზე ფიქრით, მზადყოფნას გამოთქვამენ „აგრესორი“, „ოკუპანტი“, „მტარვალი“ რუსეთის მოსარჯულებლად, მის მიერ საქართველოსთვის წაგლეჯილი ტერიტორიების დასაბრუნებლად. სატელევიზიო ზღაპარს შიგადაშიგ ზურგს უმაგრებს პრეზიდენტის სატელევიზიო ზღაპრებიც ხელისუფლების სტაბილურობასთან, ეკონომიკურ გადარჩენასთან და რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით. **რუსული აგრესიის პრეზიდენტისეული კოზირი ძალაშია, რაც უფრო ახლოვდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბოლოო დაქცევის დღე — 8 აგვისტო, მით უფრო სისტემატური ხდება ხელისუფლების მცდელობა დაუჯერებელში დააჯეროს საქართველოს მოსახლეობა და სხვაც, რომ აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ქსოვდა აგრესიის ბადეს, რომ ცხინვალის ცაზე 200-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი და ბომბდამშენი იბრძოდა ერთდროულად. ნეტავ, როგორ დაეტია ცის პატარა მონაკვეთზე ამდენი საჰაერო მანქანა? რომ 80-ათასიანი რუსული არმია უტევდა საქართველოს და სხვა.** რაც დრო გადის ივიწყებენ სიტყვას „ჩაგვითრიეს“. ის ყოველგვარი რევერანსების გარეშე შეცვალა სიტყვებმა „აგრესორი“, „ოკუპანტი“. საქართველოს ხელისუფალთა და მათი დამხმარე ამერიკელთა ინტერპრეტაციით ომი 8 აგვისტომდე გაცილებით ადრე დაიწყო. არავის ეგონოს, რომ ცხინვალის ეპოპეის საქართველოს ხელისუფლებისეული განმარტება შედეგს არ აღწევს. პროპაგანდა თავისას შვება. ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი დარწმუნებულია რუსეთის აგრესიაში. ამ „სიმართლეს“ საფუძველს უმტკიცებს აშშ-ში გამოცემული წიგნები რუსეთ-საქართველოს ომის თაობაზე. ერთ-ერთის პრეზენტაციის შესახებ კონტროლირებულმა ტელეკომპანიებმა ვრცელი გადაცემები მიუძღვნეს, რაც გასულ კვირას იხილა ქართულმა ტელემაყურებელმა. ამერიკაში გამართულ პრეზენტაციაზე თავს იწონებდა პუტინის ყოფილი მრჩევლი ილარიონოვი, რომელიც დაბეჯითებით უმტკიცებდა დამსწრე საზოგადოებას რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის შესახებ. წიგნის ერთ-ერთი ავტორი ილარიონოვი აუწყებდა საზოგადოებას, რომ რუსეთმა გასულ აგვისტოს დიდი ხნის ოცნება აისრულა, დაიპყრო რა საქართველოს თვალწარმტაცი ტერიტორიები. **საბაზრო ეკონომიკის ალვირახსნილი ბობოქრობის ჟამს, როდესაც სიტყვა, საქმე, მხარდაჭერა უანგაროდ არ ხდება, უმალ იბადება კითხვა — რამდენი უჯდება, საქართველოს ხელისუფლებას ილარიონოვის ან მისი მსგავსი ფელგენგაუერების, ლატინინების, სხვათა დაქირავება?**

რუს „ექსპერტებთან“ შეხმატკბილებულად მოქმედებენ ამერიკელი პოლიტიკოს-პოლიტოლოგებიც. თუ პირველები მხოლოდ ფულით არიან მოხიბლულნი, მეორენი ფულით და სახელმწიფო ინტერესებით, რომლის მიხედვით რუსეთი პერმანენტულად შავ ფერებში უნდა იყოს შეფუთული, როგორც ნამდვილი ამერიკული დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი.

დიდების ერთმანეთთან უწყვეტი, ხანგრძლივი დაპირისპირება გრძელდება და ძნელი წარმოსადგენია მასში კარდინალურად დადებითი ძვრების შეტანა ობამა-მედვედევის პირველ მოლაპარაკებაზე. მხარეები ერთმანეთს არა მარტო კავკასიაში და კავკასიისთვის ეჭიდავებიან, არამედ სხვა რეგიონებისთვისაც. რას ელის საქართველოს ხელისუფლება დიდთა ჭიდილისგან? ეს კითხვა არაერთხელ დასმულა და მომავალშიც დაისმება, ვინაიდან დიდთა პაექრობა სიღრმისეულად აისახება საქართველოს აწმყოსა და მომავალზე. კითხვა არაერთხელ დასმულა აგვისტოს ომამდე, თუმცა პასუხი დარჩა გაუცემელი, უფრო უარესიც, ისეთი ნაბიჯი გადაიდგა, რომელიც შეუხორცებელ ჭრილობად დარჩება ქვეყნის ნატანჯ სხეულზე.

დასავლური პროპაგანდისტული მანქანა შეუჩერებლად მოქმედებს. ის აშავებს მიზანში ამოღებულ ქვეყნებს და მათ ლიდერებს. გასაშავებელთა სიაში პირველი რუსეთია, მას ტოლს არ უდებს ირანი, ვენესუელა, ბელორუსია, თუმცა ამ უკანასკნელის მიმართ იცვლება დასავლელთა მიდგომა და თუ ბელორუსთა ლიდერი რუსეთიდან დასავლეთისკენ გადაიხრება დავიწყებას მიეცემა მისი ავტოკრატული მართვის სისტემა, როგორც ამას დასავლეთი მოიხსენიებს. ყოფილ საბჭოელთა მოხიბვლას ემსახურება ევროკავშირის გადაწყვეტილება აღმოსავლეთის ქვეყნებთან — ბელორუსიასთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ამიერკავკასიის ქვეყნებთან პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ, რომლის მიხედვით მილიონობით ევრო გამოიყოფა მათი ნახალისების მიზნით. ის, რომ ფული სამოთხის კარსაც აღებს საკუთარი მდიდარი პრაქტიკიდანაც იცის დასავლეთმა. დასავლეთისკენ გადახრილ ლუკაშენკოს უკვე აღარ ერქმევა ერთპიროვნული მმართველი. ის ისეთივე მისაღები გახდება, როგორც საუდის არაბეთის მონარქიული რეჟიმი.

გასულ კვირას დასავლეთის მოჭარბებული ყურადღების ცენტრში იყო ირანის საპრეზიდენტო არჩევნები. მისი მთავარი შემოქმედი, დასავლეთისთვის მიუღებელი აჰმადინეჟადი, აშკარად ნეგატიურად მოიხსენიებოდა ტელეკომპანიების ბი-ბი-სის, სი-ენ-ენის, სხვათა მიერ, მის მთავარ მეტოქესთან, რეფორმატორად შერაცხულ მუსავისთან შედარებით. **არჩევნებამდე ერთი კვირის განმავლობაში დასავლური ტელეკომპანიები ისე დაბეჯითებით და დადებითად აშუქებდნენ მუსავის წინასაარჩევნო კამპანიას, საქმეში ჩაუხედავთათვის იქმნებოდა მისი გამარჯვების ილუზია. ასე სურდა დასავლეთს, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ მტკიცე ეროვნული პოზიციების მატარებელი აჰმადინეჟადისთან შედარებით, მუსავი უფრო დამყოლი იქნებოდა.** მაგრამ ირანი მარტო თეირანი ან სხვა დიდი ქალაქები არ არის. ირანის სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია აჰმადინეჟადის 4-წლიანი მმართველობით და სურს მომავალი 4 წლით მისი პრეზიდენტად ხილვა. აჰმადინეჟადის საგრძნობ გამარჯვებას თეირანის მოსახლეობის, ძირითადად ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, არჩეულმა პრეზიდენტმა გამოსვლების ორგანიზებაში ბრალი დასავლეთს დასდო. დასავლეთი თავის მხრივ იშველიებს რა მუსავის მომხრეებს, თვლის, რომ არჩევნები გაყალბდა. **ისე, როგორც ყოველთვის, სახეზეა დასავლური სტანდარტები — ირანის არჩევნები გაყალბდა, ხოლო საქართველოს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა.** დასავლეთი, რომელიც ყველგან მოითხოვს დემოკრატიულ არჩევნებს, ვერ ეგუება დემოკრატიული არჩევნების შედეგს, თუ მას, ამა თუ იმ ქვეყნის ანტიამერიკული პოლიტიკური ძალების გამარჯვება მოჰყვება. აღნიშნულის დამადასტურებლად სამი წლის წინ პალესტინის ავტონომიის არჩევნები და მასში ჰამასის გამარჯვებაც კმარა. სამწუხაროდ ოპოზიცია დღემდე ვერ გარკვეულა მარტივ ჭეშმარიტებაში დასავლეთთან მიმართებაში, რომელიც დღემდე ჩაგვჩიჩინებს, რომ გასული წლის არჩევნებში ყოველგვარი გაყალბების გარეშე საააკაშვილმა გაიმარჯვა, ისე, როგორც საპარლამენტოში — ნაციონალებმა. პარლამენტის დემოკრატიული არჩევნების შესახებ კიდევ ერთხელ შეგვახსენა საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ფურნიემ. ქართულ ენაზე დაწერილ განცხადებაში მან მკაცრი ნოტაცია ჩაგვიტარა „ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტართა შეურაცხყოფისთვის“. ასე იცის ქართული ოპოზიციის მხრიდან გაჯეჯილებულმა დიპკორპუსმა. ოპოზიციის მიერ წამდაუწუმ დიპკორპუსის საქართველოს საშინაო საქმეებში დაბეჯითებულმა ჩართვამ იმავე, ოპოზიციონერთა საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. ვერც ერთი ქვეყნის დიპლომატი თავს უფლებას ვერ მისცემს ეგზომ მენტორული ტონით ილაპარაკოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში, მაგრამ საქართველოში ყველაფერი ხდება. ელჩის საყურადღებოდ უნდა ითქვას — მას და მის დასავლელ კოლეგებს უფრო მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ გასულ წელს ჩატარებული არჩევნებისადმი „ხალხის რჩეულთა“ ანუ უფრო ზუსტად საააკაშვილის მიერ დანიშნულ დეპუტატთა გასული კვირის შეურაცხყოფას ადგილი არ ექნებოდა, **მაგრამ საქმე სხვაშია. სწორედ სააკაშვილისა და პარლამენტართა წყალობით დასავლეთი ჯეჯილობს ტერიტორიაზე, რომელსაც ჯერჯერობით საქართველო ჰქვია, მაგრამ ქართველ მარიონეტთა წყალობით მალე ქართულადაც ჯორჯია დაერქმევა. ტყუილად ხომ არ იხარჯება ქართველთა საამაყო საგარეო უწყების ხელმძღვანელი?**

დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს საქართველო ესაჭიროება ტერიტორიულად, ნავთობისა და გაზის დერეფნად, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით საკონტროლო თვალად, რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად, ერაყისა და ავღანეთის ომებში მოკავშირედ. საქართველოს ხელისუფლებაც გახარებულია — ავღანეთის ომში მონაწილეობის უფლებას დაგვრთავენო და ეს მაშინ, როდესაც იქ მყოფი ნატოს წევრი სახელმწიფოების ჯარები კატეგორიულად თავს არიდებენ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას. არც ამერიკელ კანონმდებლებში შეინიშნება აზრთა ერთიანობა ავღანეთში ხარჯების გაზრდაზე. „მიჭირს მხარი დავუჭირო გაზრდილ ასიგნებებს, მაშინ, როდესაც არ არსებობს ნათელი სტრატეგიული გეგმა“ — აცხადებს სენატორი რობერტ მენენდეზი. ფედერალური ბიუჯეტის გეგმის მიხედვით 2010 საფინანსო წელს ავღანეთის ომისათვის 65, ხოლო ერაყისთვის 51 მილიარდი დოლარი გამოიყოფა. გარდა ამისა გაიზრდება ამერიკული სამხედრო კონტინენტი 68 ათასამდე. მოკავშირეთა რაოდენობა17.000-სს არ აღემატება. მიუხედავად ამისა ტალიბთა აქტიურობა თვალშისაცემია. დასავლურ პრესაში გაპარული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით ფარულ მოლაპარაკებებს კარზაის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ტალიბებს შორის. პრესის მიხედვით ტალიბთა მხრიდან მონაწილეობას ღებულობენ ერთ-ერთი ლიდერი მოლა ომარი და ისლამისტური პარტიის ლიდერი გულბიდან ჰიკმათიარი. მეორე მხრიდან ავღანური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი დაუდ აბედი და მოლა ზაიფი. ოფიციალურად ვაშინგტონი, ისე, როგორც ტალიბანი უარყოფს ინფორმაციას. პრესის მიხედვით ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ მოლაპარაკებებმა ინტენსიურობა შეიძინეს. ცნობილია ტალიბთა მოთხოვნებიც — უცხოური ჯარის გაყვანა, დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება და საყოველთაო არჩევნების ჩატარება, გარდა ამისა ისლამური ქვეყნების მშვიდობისმყოფელთა ჩაყენება. **თუ რა შედეგს მიაღწევს პაკისტანში მიმდინარე შეხვედრები მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი ქართველ ჯარისკაცებს მოუწევთ ძალების მოსინჯვა შორეულ ავღანეთში, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დროს. მაშინ საბჭოელები ინტერნაციონალურ ვალს იხდიდნენ. დღესაც იგივეა — ვალის მოხდა ნატოს და აშშ-ს წინაშე. გასწირავს ასეთ ხელისუფლებას დასავლეთი? გაიზიარებს ის იოტისოდენად ოპოზიციის მოსაზრებას? საეჭვოა, და თანაც დიდად. ოპოზიციის აქტივისტების მიერ პარლამენტართა გასული კვირის შეურაცხყოფის ერთობლივი დაგმობა აშშ-ს, საფრანგეთის და სხვა საელჩოების მიერ საწინააღმდეგო მოსაზრებას უქმნის ადამიანს, რაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს ოპოზიციისათვის. ისიც უნდა ითქვას — დასავლელ დიპლომატებს ასე შეხმატკბილებულად რომ ერეაგირათ 2003 წელს პარლამენტში შევარდნაძის, გოგიტიძის, რჩეულიშვილის სხვა პარლამენტართა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, დღეს სხვა ვითარება იქნებოდა. ქართული ანდაზისა არ იყოს — რასაც დასთეს, იმას მოიმკი.**

## რასაც დათესავ, იმას მოიმკი?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ლიტერატურული სენსაცია

# კოლორიტული სიტყვა „ბოლუქ-ბოლუქი" და ე. წ. „აბდულმესიანის" პრობლემა

## ფრაგმენტები ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან (წერილი მეორე)



ე. წ. „აბდულმესიანის" ტექსტში ერთგან თავს იწონებს ერთობ კოლორიტული თურქული სიტყვა „ბოლუქ-ბოლუქი". პოემის მერვე სტროფის პირველი ტაეპი ასეთია:

**ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ, მყის სასალუქად**
**ბრძენი რიტორებს მისთვის სამ-ოთხით.**

დავით ჩუბინაშვილი განმარტავს: „თათრული" ბ ო ლ უ ქ ი ნიშნავსო გუნდს, ბრბოს, რაზმს. იქვე მოჰყავს „ბოლუქ-ბაში", რაც პოლკის უფროსის ტოლფარდიაო. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც „ბოლუქი" ჯგუფად, გუნდად არის წარმოდგენილი, ხოლო „ბოლუქ-ბოლუქად" განმარტებულია, ვითარცა „გუნდ-გუნდად" ანთუ „ჯგუფ-ჯგუფად"; მასვე შეეფარდება კიდევ ერთი სემანტიკური ოდენობა „დას-დასად".

ყურადღებას იპყრობს ერთი საგულისხმიერო გარემოება: თუმცა საგანგებოდ ვეძებე ძველ წერილობით ძეგლებში (V-XVძ, ეს გამოთქმა-ტერმინი ვერსად ვიპოვე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ბოლუქ-ბოლუქი" გვიანდელი სიტყვაა და იგი XII საუკუნის ძეგლში (თუ „აბდულმესიანი" ამ საუკუნის ტექსტიაძ ვერ მოხვდებოდა.

საგანგებოდ გამოვიძიე ამ სიტყვის გზა-კვალი. გაირკვა მეტად საინტერესო ამბავი.

საძიებელი სიტყვა პირველად დასტურდება კედელაურის (სერაპიონ საბაშვილისძ მიერ გალექსილ „როსტომიანში" (XVI საუკუნის პირველი ნახევარიძ. ამის შემდეგ ეგ კოლორიტული და ხატოვანი გამოთქმა ხშირად გვხვდება. კერძოდ, მას XVI-XVII საუკუნეებში, ჩემი გამოთვლით, ოცჯერ მაინც იყენებენ. ასევეა იგი მომარჯვებული ე. წ. „აბდულმესიანში", ანუ იაკობ დუმბაძის „არჩილ მეფის ქებაში".

„როსტომიანში" ვკითხულობთ: „გაემართნეს ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარნი" (597,1ძ; „ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად მოსდევდეს" (560, 3ძ; „ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარმან მისკენ დაიწყო დენაო" (1369,4ძ; „ჯარად, ბოლუქ-ბოლუქად" (244,3ძ; „გამოემართნეს ლაშქარნი, მოსდევდეს ბოლუქ-ბოლუქად დროშანი" (1484,2ძ; „ბოლუქ-ბოლუქად" (1369,4ძ; „გაემართნეს ბოლუქ-ბოლუქად" (504,2ძ„ბოლუქ-ბოლუქად მიდიოდეს ლაშქარნი" (536,1ძ.

საყურადღებოა, რომ ეს სიტყვა გამოუყენებია „შაჰნამეს" მეორე მთარგმნელ ხარძიმ ვაჩნაძესაც მის მიერ გალექსილ „საამიანში". აქ გვაქვს ამგვარი რამ: „ბოლუქ-ბოლუქად წამოდგეს"... (210,4ძ.

ცნობილია: „შაჰნამეს" გალექსილი ვერსიები ძლიერ გავრცელდა. იგი მთელ საქართველოს მოეფინა. მას ყველა კითხულობდა. ვფიქრობ, აქედან საძიებელი სიტყვა გადავიდა XVII საუკუნის მწერლობაში.ამ სიტყვას იყენებს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი „ომაინიანში": „ლაშქართ ბოლუქ-ბოლუქად თავი გაუჩინა" (76,1ძ.

„ომაინიანი" შექმნილია XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

საძიებელი სიტყვა დადასტურებულია 1658-1665 წლებში შექმნილ „შაჰნავაზიანში": „მანდატური დგას ბოლუქად, არ იყო განაყოფალი" (51,2ძ.

ხატოვან სიტყვას იცნობს „რუსუდანიანი", რომელიც XVII საუკუნეშია შეთხზული და განიცდის „ვერსიების" მძლავრ ზეგავლენას. აქ წერია: „მომეგებნიან ბოლუქ-ბოლუქად ლაშქარნი" (561,9ძ; „გადგა ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად" (100,11ძ.

კოლორიტულ სიტყვას იცნობს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის „ყარამანიანიც": „ბოლუქი" (27,5ძ; „ლაშქარნი ბოლუქ-ბოლუქად დაფანტნეს" (633,10ძ.

ჩვენს სიტყვას კიდევ ერთი ძეგლი სცნობს. „ფრინველთა კარაბადინში", რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, წერია: „აღარა რამე გაასინჯა ბოლუქთა მათ..." (183,V, 11,5-6ძ.

საგანგებოდ აღვნიშნავ:

„ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში შედგენილი აქვთ სიტყვათა კატალოგი, სადაც მითითებულია ნებისმიერი მნიშვნელოვანი სიტყვა თავისი კონტექსტითურთ, დამოწმებულია წყარო. ფორმა „ბოლუქ-ბოლუქად" აღრიცხულია. ამ კატალოგიდან ირკვევა: ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ არ ჩანს XVI საუკუნემდე არსებულ ლიტერატურულ წყაროებში. იგი ჩნდება მხოლოდ მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე ა ს წ ლ ე უ ლ ი დ ა ნ.

ამრიგად, ე. წ. „აბდულმესიანში" დაფიქსირებულმა სემანტიკურმა ერთეულმა გაგვიმჟღავნა საიდუმლო — ხოტბა ვერ დაიწერებოდა XVI საუკუნეზე ადრე.

მაშასადამე, ქმნილება ეკუთვნის იაკობ შემოქმედელს და მისი სახელია „ქება მეფისა არჩილისა".

მავანმა, შესაძლოა, იკითხოს:

ხომ შეიძლება, საძიებელი სიტყვა თვით „შაჰნამეს" ვერსიების დედანში იყო და მთარგმნელმაც მოიმარჯვაო?!

გვაქვს ამის პასუხიც.

იუსტინე აბულაძე წერს: „როსტომიანის" გამლექსავი დედანს ამდიდრებს იშვიათი, კოლორიტული სიტყვებით, რაც სპარსულ ტექსტში არ არისო, და საამისოდ ნიმუშად მოჰყავს სწორედ 1484-ე ხანაში ნახსენები „ბოლუქ-ბოლუქად" (იხ. „შაჰნამეს" ქართული ვერსიები, I, გვ. XXIVძ.

ახლა დგება საკითხი: მაინც საიდან აქვს აღებული იაკობ დუმბაძეს მითითებული სიტყვა?

კედელაურის შემდეგ იაკობამდე ეგ უცნაური სიტყვა ბევრმა იხმარა და თითქოს დასმული საკითხის გადაჭრა საძნელო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ვფიქრობ, ეგ იოლი გამოცანაა. ჩემთვის მაინც.



უთუმცაოდ და გადაჭრით ვაცხადებ: იაკობ დუმბაძემ სიტყვა აიღო კედელაურის „როსტომიანიდან". „როსტომიანის" 1484-ე სტროფში გვაქვს:

**მათ ხელი შუბსა დაიდვეს,**
**ცხენებსა შესხდეს ს ა ლ უ ქ ა დ,**
**გამოემართნეს, ლაშქარნი**
**მოსდევდეს ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ.**

ყურადღება მივაქციოთ სარითმო ერთეულებს: ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ და ს ა ლ უ ქ ა დ.

იაკობ „მბაძე" სესხულობს არა ოდენ კოლორიტულ სიტყვას, არამედ მის სარითმო წყვილეულსაც:

ბ ო ლ უ ქ-ბ ო ლ უ ქ ა დ, მყის ს ა ს ა ლ უ ქ ა დ (8,1ძ. მგონია, ეჭვი აღარავის შეეპარება, თუ საიდან აუღია „არჩილ მეფის ქების" ავტორს საძიებელი სიტყვა და მისი მეწყვილე სარითმო ერთეულიც — ეს გახლავთ კედელაურის სარითმო წყვილი.

ამრიგად, ე. წ. „აბდულმესიანი" იცნობს „შაჰნამეს" ვერსიებს. მაშასადამე, ხელთა გვქონია იაკობ მიტროპოლიტის თხზულება „ქება მეფისა არჩილისა" და არა იოვანე შავთელის ჯერჯერობით დაკარგული „აბდულმესიანი".

**მურმან თავდიშვილი**

გვეხმაურებიან

# ენის მტერი ერისა და ქვეყნის მტერია!

**„ვარდების რევოლუციას" მოყოლილმა თანამედროვე მურვან ყრუებმა, თემურ ლენგებმა, ჯალალ ედინებმა, აღა მაჰმად ხანებმა — ლომაიებმა, გაბაშვილებმა, ნოდიებმა, გვარამიებმა, ხუბუებმა, თევზაძეებმა და სხვებმა (მკითხველს არ შეეშლება, ვისზეა ლაპარაკი), ბევრ სხვა „სიკეთესთან" ერთად ენერგია არ დაიშურეს, „თავი გადადეს" და ქართული ენის, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, მწერლობის, ყოველივე ქართულის მოსპობა-ამოძირკვა განიზრახეს.**

სწორედ მათი და მათნაირების წყალობით გაუქმდა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, ენის სახელმწიფო პალატა, პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი, ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომლებიც ქართულ ენას ემღვნებოდა, სპორტის აკადემია, მათი კუთვნილი შენობებიდან გამოყარეს მწერლები, ჟურნალისტები, კომპოზიტორები, შეამცირეს ქართული ენისა და ისტორიის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ქართულის სწავლება სავალდებულო აღარ არის უმაღლეს სასწავლებლებში.

ზემოთ დასახელებული „თანავარსკვლავედიდან" თავის ანტიქართული გამოხდომებით გამორჩეულია გიგი თევზაძე — ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც ქართული ენის სიძულვილით რუს ეგზარხოს-რეაქციონერს პავლე ლებედევს, კავკასიის მთავრმართებელ დუნდუკოვ-კორსაკოვს, შავრაზმელ კირილე იანოვსკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მიხეილ სუსლოვსაც კი გადააჭარბა. ამ პირწავარდნილმა ნაციონალ-სოროსელმა თევზაძემ მოითხოვა საქართველოში ინგლისურის სახელმწიფო ენად გამოცხადება, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, ლაფში ამოსვარა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა ნაღვაწი, სულში ჩააფურთხა 1978 წლის 14 აპრილის ამბოხის მონაწილეებს, რომლებმაც რუსეთის ბოროტების იმპერიას ქართული ენა პირდაპირ კლანჭებიდან გამოგლიჯეს.

ეს სულგაყიდული მანქურთები იმის ნაცვლად, რომ იბრძოდნენ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, განმტკიცების, ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე მისი გაძლიერებისა და გავრცელებისათვის, პირიქით, ხელს უწყობენ ენის, რწმენის, მამულისა და ერის დაცემას.

ამ ფონზე სამაგალითოა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტის მეუფე ანანია ჯაფარიძის სულიერი სიმაღლე და შემართება. ღვთისმსახური თავის სტატიაში „საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ", რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა (2008 წლის 3 ოქტომბერიძ, მოგვიწოდებს საქართველოს ყველა კუთხეში განათლების, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ღრმად გააზრებული რეფორმების თანმიმდევრული გატარებით, და არა ქართულის ნაცვლად ინგლისური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების გიგი თევზაძისეული ნაბოდვარით, დავამკვიდროთ ქართული ენის საყოველთაობა. აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს ოტია იოსელიანის მოსწრებულად ნათქვამი: „ქართულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფაროო".

მე შემეხარბა ლატვიელებისა, რომლებიც იმდენად იცავენ მშობლიური ენის ინტერესებს, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ოფიციალური გაფრთხილებაც კი გამოუწვევია. ამ განრისხების მიზეზი კი ის გამხდარა, რომ, როგორც ამირან გაბისონია წერს „საქართველოს რესპუბლიკაში" (2009 წ. 14 იანვარიძ, ლატვიის პრეზიდენტს ვალდის ზატლესმას დაუმტკიცებია თავისი ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული შესწორება კანონში, რომლის მიხედვით საზოგადოებრივ საქმიანობაში ლატვიურის გარდა სხვა ენის გამოყენება იკრძალება. თავად პრეზიდენტი არასოდეს არღვევს კანონის ამ მოთხოვნას და ნებისმიერ ოფიციალურ ღონისძიებებზე მხოლოდ ლატვიურ ენაზე ლაპარაკობს. სულ ჩვენს პრეზიდენტს არ ჰგვანებია?! ალბათ, მკითხველს ახსოვს, იტალიის პრემიერმა ბერლუსკონიმ როგორ შეაწყვეტინა მიხეილ სააკაშვილს ინგლისურად გამოსვლა და მშობლიურ ენაზე ლაპარაკი მოსთხოვა!

თუ ქვეყნის პატრიოტი ხარ და საკუთარი ენისა და ხალხისადმი პატივისცემის გრძნობა გაგაჩნია, პრეზიდენტი ხარ თუ რიგითი მოქალაქე, ნამდვილად ასე უნდა მოიქცე. ტყუილად კი არ უწოდებდა აკაკი ლომაიების, გაბაშვილების, თევზაძეების მსგავს ქართველებს „ფუჭ



ძენს", „უსწავლელ სწავლულებს", „სულელ ბრძენს", და „ჭრელაძეებს". „კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედა ენასა, თვის ტომს ჰღალატობს და მითი თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა" — გვმოძღრავდა დიდი პოეტი.

ასეა, ტყუილად ცდილობენ უცხოური ენების ცოდნით თავმოწონებული, „მაღლა მფრინავი" ქართველი მოლები, ყადები და ახუნდები, რომლებსაც არც ბუნებრივი ჭკუა გააჩნიათ და არც ნიჭი ქართველობისა, მთლიანად გაანადგურონ ქვეყნის განათლების სისტემა, ქართულს წაართვან სახელმწიფო ენის სტატუსი და მიწასთან გაასწორონ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა. ნუ მივცემთ მათ ამის ნებას!

**ლევან ბაღდავაძე,**
**პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.**

***P. S. ღმერთმა დამიფაროს უცხო ენების, მათ შორის რუსული ენის, შესწავლის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მაინც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ „მშობლიურია მთავარი".***

***ლ. ბ.***

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი საქართველოში გაეროს სამშვიდობო ძალების შესახებ რეზოლუციას ვეტოს ადებს

**რუსეთმა ვეტო დაადო გაეროს რეზოლუციას, რომელიც სანქციას აძლევდა საქართველოში გაეროს დაახლოებით 150 მშვიდობისმყოფელის ყოფნას, რითაც მკვეთრად შეწყვიტა გაეროს თითქმის 15 წლის ძალისხმევა სეპარატისტულ აფხაზეთთან საქართველოს მყისიერი საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებით.**

რუსეთის ნაბიჯი ქმნის წინაპირობას შეერთებულ შტატებთან და მის ევროპელ მოკავშირეებთან დიპლომატიური ურთიერთობის გათიშვისთვის, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს აფხაზეთზე. ამ ნაბიჯმა უკვე შეშფოთება გამოიწვია საქართველოში ძალადობის ახალი აფეთქების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ვეტოს დადებით რუსეთმა, ფაქტობრივად, დაბლოკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტი მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ 15 დღით იმისთვის, რათა საშუალება მიეცათ ორი მხარისთვის, შეემუშავებინათ კომპრომისი საქართველოში გაეროს მომავალი მისიის საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ რუსეთმა უარყო პროექტი იმის საფუძველზე, რომ მასში მხარდაჭერილი იყო საქართველოს უფლება აფხაზეთზე, რაც გაეროში რუსეთის ელჩის ვიტალი ჩურკინის სიტყვებით, „ემყარება ძველ რეალიებს“.

15 ქვეყნისგან შემდგარმა უშიშროების საბჭომ ათი ხმით ერთის წინააღმდეგ ხმა მისცა რეზოლუციას, რომელიც დასავლეთმა შესთავაზა. ოთხმა სახელმწიფომ – ჩინეთმა, ლიბიამ, ვიეტნამმა და უგანდამ – თავი შეიკავეს იმ საფუძველზე, რომ საბჭოს ძირითადმა სახელმწიფოებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. გაეროს გენერალური მდივნის კანცელარიის ცნობით, პან გი მუნმა მოსთხოვა მისიას შეწყვიტოს მუშაობა სამშაბათისთვის.

როგორც გაეროს განცხადებაშია აღნიშნული, პან გი მუნი წუხს იმასთან დაკავშირებით, რომ დიპლომატიური აზრთა სხვადასხვაობის გამო უშიშროების საბჭოში არ იქნა მიღებული გენერალური მდივნის წინადადება საქართველოსა და მისგან გამოყოფილ აფხაზეთის შორის გამყოფი ზოლის გაფართოების შესახებ.

ჩურკინმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა , რომელმაც შარშან აგვისტოში დარტყმა მიაყენა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს, დაკარგა მორალური უფლება პრორუსული აფხაზეთისა და სეპარატისტული სამხრეთი ოსეთის სუვერენიტეტზე. ქართველთა მოქმედების პასუხად რუსეთი შეიჭრა საქართველოში, აღიარა ორი გამოყოფილი ტერიტორიის დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერა შეთანხმებას იქ სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ.



„სააკაშვილის რეჟიმმა ჯვარი დაუსვა თავისი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ორი ახალი სახელმწიფო – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები“, – განაცხადა ჩურკინმა. შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და სხვა მოკავშირე ქვეყნებმა ბრალი დასდეს რუსეთს მოლაპარაკების ჩაშლაში გაეროს როლის შესახებ რეგიონში. მაგრამ მათ განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ მიიღონ რუსეთის წინადადება, რათა მოლაპარაკება გაგრძელდეს კიდევ ერთი თვე, ვინაიდან ეს მოითხოვდა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვაზე უარის თქმას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაეროში როზმარი დიკარლომ განაცხადა, რომ ვაშინგტონი „ღრმად წუხს“ რუსეთის ვეტოს გამო და ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის. „აფხაზეთში საერთაშორისო მისიის ყოფნის გარეშე საქართველოში წარმოიქმნება დაძაბული ვითარება უშიშროების სფეროში, რის გამოც იჩაგრება მშვიდობიანი მოსახლეობა“.

**კოლამ ლინჩი**

The Washington Post

# IKEA და აფხაზური პარადოქსი

**აფხაზეთში ეკონომიკური იმპერატივები – რეგიონის აღდგენისა და ინვესტიციების (პირველ რიგში, რუსული ინვესტიციების) მოზიდვის აუცილებლობის შესახებ – შედის პოლიტიკურ მიზნებთან დაპირისპირებაში: ასე თუ ისე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა.** შეიძლება, რესპუბლიკას მოუწიოს გადაეჭყაროს პარადოქსულ სიტუაციას: 2008 წლის აგვისტომდე იგი იყო დე ფაქტო დამოუკიდებელი, მაგრამ უღიარებელი, ამჟამად კი მისი სუვერენიტეტი აღიარეს (მართალია, მხოლოდ რუსეთმა და ნიკარაგუამძ, მაგრამ აფხაზეთი ფაქტობრივ დამოუკიდებლობას კარგავს. უკვე გამოცხადდა საქართველოში გაეროს სამეთვალყურეო მისიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, რაც მხოლოდ გააძლიერებს აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციას.

თუ ჩემს წინანდელ ვიზიტს შევუდარებ (2006 წლის მარტიძ, დღეს სოხუმი გამოიყურება უფრო ცოცხლად. ბევრი შენობა ამას წინათ გაარემონტეს, ქუჩებში გამოჩნდა უფრო მეტი ძვირადღირებული მანქანა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზღვისპირა ბულვარზე მოსეირნეთა და კაფეებში შემსვლელთა რაოდენობა. ერთი მხრივ, ეს მოწმობს იმას რომ სიტუაცია ეკონომიკაში გაუმჯობესდა, მეორე მხრივ კი – ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ზაფხულობით საკურორტო ქალაქში ცხოვრება ყოველთვის უფრო ხალისიანია ტურისტების ნაკადების გამო.

ადრე ერთ-ერთ მივარდნილ ნავსადგურში გაიხსნა კაფე, სადაც გთავაზობენ დელიკატესებს (სწორედ იქ მიჰყავდათ აფხაზეთის ხელმძღვანელებს სოლანა და ლავროვი მათი ამასწინანდელი ვიზიტის დროს სოხუმშიძ. ქუჩაში ყვითელი „ჰამერიც“ კი შევნიშნე (ასეთივე დავინახე თბილისშიც – ეტყობა, ეს აქ მოდურიაძ.

საკმაოდ მჭევრმეტყველურია ამასწინანდელი სკანდალიც საქართველოს მთავრობასა და ბენეტონის ფირმას შორის. თურქეთის ფილიალი ამ ფირმისა აპირებდა სოხუმში მაღაზიის გახსნას, მაგრამ თბილისმა გამოთქვა ოფიციალური პროტესტი, ვინაიდან ეს ნაბიჯი არ იყო შეთანხმებული საქართველოს ხელისუფლებასთან, რომლის სუვერენიტეტსაც აფხაზეთზე აღიარებს გაეროს ყველა წევრი-ქვეყანა ორის გარდა. ბენეტონის მაღაზია თბილისში ორი დღით დაიკეტა კიდეც თავისი თურქი კოლეგების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მიუხედავად ამისა, სოხუმში მე დავინახე ერთი იმპროვიზებული მაღაზია (რუსი, ალბათ, იტყოდა „კუსტარულს“ძ ზარა, ასევე კუსტარული მანგო და მთელი სამი პატარა Ikea (ეს არ არის ფირმების ოფიციალური წარმომადგენლობა, არამედ ადგილობრივი „მაქოების“ გამომგონებლობის ნაყოფია, რომლებიც შესაბამისი ბრენდის საქონელს ყიდულობენ რუსეთში ან თურქეთშიძ.

ქალაქში კვლავ ბევრი დანგრეული სახლია (ცენტრში და განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „ახალ რაიონში“ – მდინარე გუმისთის მახლობლად, რომელზეც გადიოდა ფრონტის ხაზი აფხაზეთ-საქართველოს ომის დროს 1992-1993 წლებშიძ. ბევრი აფხაზი ამტკიცებს, რომ სოხუმში დაიწყო სამშენებლო ბუმი. ზოგიერთი შენობა მართლაც რემონტდება და წარმოებს მათი აღდგენა, მაგრამ ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სულაც არა ჰგავს მოსკოვის, თბილისის, კიევის ან ბაქოს „სამშენებლო ბუმს“. და, ეჭვსგარეშეა, სოხუმის ეკონომიკური განვითარება ვერ შეედრება იმას, რაც გადაიტანა თბილისმა უკანასკნელ წლებში. მართალია, აფხაზეთი ღვთიური ადგილია ხილისა და ბოსტნეულის მოყვანისთვის (და ნამდვილი ტურისტული სამოთხეძ, თითქმის ყველა ხილი, რითაც ვაჭრობენ ადგილობრივ ბაზარზე, ჩამოტანილია უცხოეთიდან (როგორც მე მიმაჩნია, თურქეთიდანძ, ალუბალი კი 8-10 დოლარი ღირს.

მაგრამ მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკურ პერსპექტივებს აქ აღიქვამენ ოპტიმიზმით. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ რეგიონის უშიშროების პრობლემა გადაწყვიტა რუსეთმა, რომელიც იძლევა მისი საქართველოსთან საზღვრების საიმედო დაცვას. ამან უნდა გაზარდოს ინვესტორების რწმენა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

სხვათა შორის, ეკონომიკის წარმატებული განვითარების იმედებს ჩრდილს აყენებს გარკვეული შეშფოთება აფხაზეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული მომავლის გამო. აქ ძალიან ეშინიათ, რომ რესპუბლიკა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით „ლდვება“ დიდი რუსეთის სივრცეში. აფხაზებს ეშინიათ, რომ რუსეთი შეისყიდის ტურისტული ინფრასტრუქტურის უდიდეს ნაწილს (საუკეთესო მიწის ნაკვეთები ზღვის პირას და სასტუმროებიძ, რომ იჯარები სოჭის ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობაზე მოითხოვენ სამშენებლო მასალების დიდ რაოდენობას, კერძოდ, ქვიშას, ეს კი დალუპავს აფხაზეთის პლაჟებსა და მდინარეების სანაპიროებს, და რომ რუსი ჯარისკაცები, რომლებიც მსახურობენ აფხაზეთში, დაფუძნდებიან აქ თავიანთ ოჯახებთან ერთად, რითაც კიდევ უფრო დაარღვევენ დემოგრაფიულ ბალანსს ადგილობრივ მცხოვრებთა საზიანოდ (აფხაზები ამჟამადაც რეგიონის მოსახლეობის ერთ მესამედზე ოდნავ მეტს შეადგენენძ. ეს, სხვათა შორის, არ ნიშნავს, რომ აფხაზებს უცბად გაუჩნდებათ სურვილი, დაბრუნდნენ საქართველოს შემადგენლობაში.

ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მითხრა: „აფხაზეთის წინაშე დგას ერთი მეორის საპირისპირო ამოცანები: ერთი მხრივ, ჩვენ გვჭირდება მეტი რუსი ჯარები, რათა მათ მოგვცენ უშიშროების გარანტია, მაგრამ ამ დროს ჩვენ გვეშინია, რომ ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდება ძალიან ბევრი რუსი ჯარისკაცი და დავკარგავთ კონტროლს აფხაზეთზე“.

**ნიკუ ოპესკუ**

The Observer

## დედამიწის ზურგზე



**მიშელ ობამამ ბაღჩაში თეთრი სახლის წინ 50 კგ.ბოსტნეული მოიწია**

მოსავლის აღება მოხდა ვაშინგტონის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. პირველმა ლედიმ მოიწია სალათი, ლობიო, მუხუდო და ჭარხალი. იდეა, მოეწიათ ამ სახით მოსავალი კრიზისის საპირისპიროდ, ნასესხებია ელეონორა რუზველტისგან, რომელსაც მოჰყავდა ბოსტნეული მეორე მსოფლიო ომის წლებში.

* * *

**ჩრდილოეთ ირლანდიაში 100-ზე მეტმა რუმინელმა დატოვა თავისი სახლი რასისტული რბევის შემდეგ**

რუმინული ოჯახები ცხოვრობდნენ ლისბერნროუდის რაიონში ბელფასტის სამხრეთით. რუმინელებმა გადაწყვიტეს წასვლა მათს სახლებზე რამდენიმე თავდასხმისა და შეჯახების შემდეგ ადგილობრივ ნაციონალისტურ და ანტიფაშისტურ დაჯგუფებებთან, რომლებმაც მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი ეთნიკურ უმცირესობებთან სოლიდარობის ნიშნად.

* * *

**ბელორუსიაში აყალიბებენ საბაჟო პოსტებს რუსეთის საზღვარზე**



პოსტები ჩამოყალიბდა ვიტებსკის ოლქის გზებზე. მებაჟეები ამოწმებენ ბელორუსიაში შესვლის ვიზებს და რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასვლის შესახებ დოკუმენტებს. წინა დღით სახელმწიფო საბაჟო კომიტეტმა გასცა განკარგულება შემოღებულ იქნეს კონტროლის გაძლიერებული რეჟიმი ტვირთების გადაადგილებასთან დაკავშირებითაც.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია ერთბაშად რამდენიმე რაკეტის გაშვება, ეშინიათ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში**

პირველი ბალისტიკური რაკეტის დამატებით, რომელიც განათავსეს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის პოლიგონზე ჯერ კიდევ მაისში, ჩრდილოეთ კორეელმა სამხედროებმა დაიწყეს მეორე ანალოგიური რაკეტის მშენებლობა, იტყობინებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამავე დროს მზადდება საშუალო სიშორის რაკეტის გაშვება.

* * *

**მეთანის აფეთქება ინდონეზიის შახტში: დაღუპულია 27. 13 კაცი დაიკარგა ნანგრევებში**

აფეთქება კუნძულ სუმატრის ქვანახშირის შახტში იყო ისეთი ძლიერი, რომ მისი ხმა ისმოდა ერთი კილომეტრის რადიუსში, ალი კი 50 მეტრზე აიჭრა ცაში. მიწის ქვეშ დარჩენილი ხალხი, ალბათ, უკვე დაიღუპა ჰაერის უკმარისობის გამო, მიაჩნიათ ხელისუფლებაში.



◉ იუბილე

# „არტოობის“ ასი წელი

## აკადემიკოსი ბენედიქტე ბალავაძე 100 წლისაა!

**„არტ“ ინგლისური სიტყვაა და ასე ითარგმნება: „ხელოვნება“, „ცოდნა“, „უნარი“, „სიმამაცე“... აქედან თუ შევთხზავთ სიტყვას „არტოობა“, ვფიქრობ, ის ყველა გაგებით მიესადაგება ბატონი ბენედიქტე ბალავაძის ფენომენს...**

კაცი როცა საუკუნის ხნისა მოიყრება, ეს რასაკვირველია, ბუნების სასწაულია; მეცნიერი კაცის შემთხვევაში – ორმაგი სასწაული!

„ბენედიქტე“ ლათინური საკუთარი სახელია და თურმე ნიშნავს „დალოცვილს“, „კურთხეულს“. ბატონი ბენო (როგორც შემოკლებითა და სიყვარულით მიმართავს ყველაძ დიახაც, რომ ღვთის რჩეულია, ცით დალოცვილი და კურთხეული.

...1955 წელი, მოსკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზი. 46 წლის ქართველი მკვლევარი-გეოფიზიკოსი ბენედიქტე ბალავაძე ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო შრომას „სიმძიმის ძალის ველი და დედამიწის ქერქის აგებულება კავკასიაში“. დისერტანტს ერთხმად ენიჭება საძიებელი ხარისხი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორისა. ინსტიტუტის უხუცესმა პროფესორმა ვ. ბონჩკოვსკიმ დაცვის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ითხოვა სიტყვა, წაიკითხა და სამხრეთელ სტუმარს საზეიმოდ გადასცა ადრესი, ხელმოწერილი იქაური 54 წამყვანი მეცნიერის მიერ (იშვიათი შემთხვევა სადისერტაციო შრომების დაცვის პრაქტიკაში!ძ: „ძვირფასო ბენედიქტე კონსტანტინეს ძევ! ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ თქვენს შესანიშნავ ადამიანურ თვისებებს, თავაზიანობას, გულისხმიერებასა და პრინციპულობას მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. მეცნიერებაში წარმატებებთან ერთად გისურვებთ ხანგრძლივსა და შინაარსიან სიცოცხლეს, აღსავსეს სიხარულითა და ბედნიერებით. ცხონებული ბონჩკოვსკი თითქოს ჯადოსნურ სარკეში იყურებოდა – ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ბატონ ბენოს აუსრულდა ეგზომ კეთილი სურვილები: მეცნიერებაში დიდი წარმატებებით, ხანგრძლივი და შინაარსიანი სიცოცხლით, რომელიც სიხარულითა და ბედნიერებითაც იყო გაჯერებული...

აქვე სათქმელად: სადოქტორო შრომაში მიღებული რამდენიმე ძირითადი შედეგი ბენო ბალავაძემ ორი წლის შემდეგ ქალაქ ტორონტოში (კანადაძ შემდგარ გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო ასამბლეის სესიაზე მოახსენა. ფორუმის მონაწილე გამოჩენილმა უცხოელმა სპეციალისტებმა ბ. გუტენბერგმა და ჰ. ჯეფრისმა ქართველი მკვლევარის ეს შედეგები შეიტანეს შემდგომ კლასიკურად ქცეულ თავიანთ მონოგრაფიებში.

ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ბენო ბალავაძის როლი ჩვენს ქვეყანაში გეოფიზიკის ახალ მიმართულებათა განვითარებაში, ისევე როგორც მეცნიერული კადრების მომზადებაში. ეს მან ჩაუყარა საძირკველი საქართველოში გეოფიზიკის ერთ-ერთ მთავარ დარგს – გრავიმეტრიას, რომლის განვითარებას მოჰყვა არსებითი წვლილის შეტანა კავკასიის რეგიონში დედამიწის ქერქის აგებულების, ფიზიკური თვისებების, დინამიკის ძირითადი პრობლემების შესწავლაში. ეს მან დააკვალიანა და დააფრთიანა გამჭრიახი გონების, ფართო ერუდიციის, მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან შერწყმული ყურადღებიანობის წყალობით მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი – მეცნიერებათა კანდიდატი თუ დოქტორი.



გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე წლობით ყოფნისას კარგად გამოჩნდა ბატონი ბენოს ორგანიზატორული ნიჭიც. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტში წარმატებით ვითარდებოდა იქ წარმოდგენილი ისეთი სფეროები, როგორიც დედამიწის მყარი ტანის ფიზიკაა, ატმოსფეროს ფიზიკაა, მზე-დედამიწის კავშირებია. მისი უნარიანი გაძღოლით გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი ბაზები, მონათესავე ორგანიზაციებთან კონტაქტები, ინსტიტუტი გადაიქცა მოწინავე, საკავშირო თუ საერთაშორისო გეოფიზიკურ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილე სამეცნიერო დაწესებულებად.

...„ასე გადის დრო, წლებს წლები ემატება, აღარაა ბაბუ ისე მხარმთელი“... – ეს ჯანსუღ ჩარკვიანის ადრეული ლექსიდანაა. დიახ, წლებს წლები მიემატა და ძვირფასი იუბილარისათვის უკვე საუკუნე შეადგინა. ბატონი ბენო გარეთ ვეღარ გამოდის – იმ ასწლეულს ზიდვა ხომ უნდა... ჟურნალისტური კითხვარი შინ გავუგზავნე სახელოვანი ვაჟის, შესანიშნავი მათემატიკოსი-ტოპოლოგის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის მიხეილ ბალავაძის ხელით, თან შემთხვევით ვისარგებლე და ვთხოვე: შვილის თვალით „დანახვადი“ მამის შესახებ მითხარი ორიოდე სიტყვა-მეთქი.

– თავდაჭერილობა და სიმშვიდე ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ არაჩვეულებრივი შინაგანი სიჯიუტეც, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს... დღეგრძელობა გენეტიკურად მოსდევს – მამა 95 წლისა გარდაიცვალა.

პრინციპულობა და მომთხოვნელობა შვილების მიმართაც (დაძმა ვართძ მუდამ სჩვეოდა, სწავლა და შრომა გახლდათ მისი „მშობლიური“ დევიზი.

თვითონაც საოცრად პრინციპული იყო: ხელი არ მოაწერა სახაროვის გასაკიცხ და დამგმობ წერილს; სასტიკად აღუდგა ატომური ელსადგურის მშენებლობას აფხაზეთში, გალის რაიონში. ეს იმ ფონზე, როცა პროექტს ამდენი მომხრე ჰყავდა რესპუბლიკაში – მოსკოვიდან დიდძალი თანხა შემოგვივაო; ექვსბალიან მიწისძვრაზე გათვლილი ენგურჰესის მშენებლობა, იმდენი ქნა, ცხრაბალიანზე ააყვანინა საძირკველში საგანგებო დაბეტონების მოწყობით...

კითხვების გატანებიდან სულ რამდენიმე დღეში მივიღე სავსებით „გარჩევადი“ კალიგრაფიით, აუკანკალებელი ხელით კოხტად ჩამოწერილი პასუხები და შევინახავ კიდევაც სახსოვრად...

**– ბატონო ბენო, უკან დაგრჩათ სასახელო ცხოვრების მთელი საუკუნე; თუ არ ვცდები, დაუვიწყარი აკაკი შანიძის შემდეგ თქვენ ბრძანდებით საქართველოში მეორე აკადემიკოსი, ვინც მე-11 ათწლეულში გადააბიჯებს; როგორ აღწერთ ადამიანისათვის ასეთ ფანტასტიკურ მიჯნაზე თქვენს მდგომარეობას?**

– ჩემი ასაკის გათვალისწინებით ჯანმრთელობას ნამდვილად არ ვუჩივი. ეს ალბათ იმის წყალობითაა, რომ ცხოვრებაში ყოველთვის და ყველაფერში ვიცავდი ზომიერებას ერთის გარდა: ეგ შრომა იყო.

**– შინიდან გამოუსვლელად რამდენად ახერხებთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროსათვის თვალყურის მიდევნებას და თუ ახერხებთ, რა არის თქვენი ყურადღების საგანი გამორჩეულად? საერთოდ, როგორ ეკიდებით ქვეყანაში შექმნილ ამჟამინდელ ვითარებას?**

– მაქსიმალურად ვცდილობ საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის თვალის დევნებას. ძალიან მაწუხებს შექმნილი მდგომარეობა, განსაკუთრებით ტერიტორიების დაკარგვა, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ერთობ მტკივნეულია; თუმცა იმედი მაქვს, რომ დავიბრუნებთ ამ ტერიტორიებს.

**– თქვენი მრავალმხრივი და მდიდრული ნაღვაწიდან რომელ მეცნიერულ მიღწევებს გამოჰყოფდით, განსაკუთრებით რა გეამაყებათ?**

– ჩემი ნაღვაწიდან ყველა მიღწევა ძვირფასია, მაგრამ მათგან გამოვყოფდი ნაშრომს „სიმძიმის ძალის ველი და დედამიწის ქერქის აგებულება კავკასიაში“, რაზეც სადოქტორო დისერტაცია დავიცავი. შემდეგ ამ გამოკვლევის შედეგები წარვუდგინე კანადაში გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კონგრესს, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები გუტენბერგი ამერიკიდან და ჯეფრისი ინგლისიდან. მერე მათ ჩემი ნაშრომი თავიანთ მონოგრაფიებში მოიხსენიეს, რაც ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ.

**– თუ აკვირდებოდით საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე რეფორმებს განათლებისა და მეცნიერების დარგებში – როგორი შეხედულებისა ხართ მათზე?**

– რეფორმები თავისთავად კარგია, თუ ისინი გონივრულად ხორციელდებიან. ვფიქრობ, რომ განათლებასა და მეცნიერებაში რეფორმები ხარვეზებით მიმდინარეობდნენ, თუმცა იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება და დაიხვეწება.

**– ხომ არ ისურვებთ ამ ორი სფეროს შედარებას ორ სხვადასხვა ხანაში – საბჭოურსა და პოსტსაბჭოურში?**

– მე, როგორც იმ ხანის წარმომადგენელს, მგონია, რომ საბჭოთა პერიოდში მეცნიერებისა და განათლების განვითარებას მეტი ყურადღება ეპყრობოდა, თუმცა არაერთი საკითხი საჭიროებდა შეცვლას; ოღონდ როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ახლანდელი რეფორმებისა კმაყოფილი არა ვარ.

**– თუ გყავთ იდეალი მეცნიერებაში, თუ გყავთ მონიშნული საყვარელი რომანისტი, პოეტი, კომპოზიტორი, პოლიტიკოსი, სპორტსმენი...**

– მეცნიერებაში ჩემი იდეალია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი. მწერალთა შორის გამოვყოფ ჭაბუა ამირეჯიბს, პოეტთაგან გალაკტიონს, კომპოზიტორებში – რეზო ლაღიძეს; საყვარელი პოლიტიკოსი მარგარეტ ტეტჩერი, სპორტსმენი – ვახტანგ ბალავაძე.

**– პროფესორ ლევან მგალობლიშვილის საგულისყურო წიგნი „შესანიშნავი შვიდეულის“ ერთ-ერთი გმირი თქვენც ბრძანდებით. ამ ნაშრომში ლაპარაკია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის პირველ შვიდ კურსდამთავრებულზე – შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებზე; ხომ არ გაიხსენებთ იმ დროსა და თქვენს „თანაასპირანტელებს“?**

– 1929 წლიდან დაიწყო ახალგაზრდა მეცნიერთა გაგზავნა ლენინგრადსა და მოსკოვში. ჩვენ მომზადება გავიარეთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში. პირველ ასპირანტებს შორის ვიყავით ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე გიორგი წერეთელი, ვიქტორ კუპრაძე, შოთა ძიძიგური, სერგი ჯიქია და მე. მახსენდება, როგორი ჯანსაღი ატმოსფერო სუფევდა ჩვენს ირგვლივ. ქართველ ასპირანტებს ყველა პირობა გვქონდა შექმნილი სრულყოფილი განათლების მისაღებად იმ დარგებში, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ განვითარებულნი.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ნამდვილად დადებითი შედეგი გამოიღო: ჩვენს რესპუბლიკაში იწყო ჩამოყალიბება სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, რის საფუძველზეც შემდგომ დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

**– გაისად 80 წელი სრულდება ტრაგიკულად დაღუპული აკადემიკოსის მერაბ ალექსიძის დაბადებიდან, რომლის მეგობრობის პატივიც მე მქონდა და რომელიც, მე ეს კარგად ვიცი, თქვენი დიდი პატივისმცემელი გახლდათ, თქვენი კოლეგა და თანამშრომელი...**

– მერაბი თავისი განყოფილებით გადმოვიდა ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტიდან გეოფიზიკის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც მე ვიყავი. მას დაევალა გამოთვლითი მათემატიკის განვითარება და გამოყენება გეოფიზიკის ინსტიტუტის თემატიკაში, რასაც მარჯვედ და წარმატებით აკეთებდა. ინსტიტუტიდან ჩემი წასვლის შემდეგ მე მას რეკომენდაცია გავუწიე დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად... ნაადრევი ტრაგიკული სიკვდილი რომ არა, კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს მოასწრებდა...

**– ხომ არ გაგონდებათ თქვენს სახელოვან ას წლისთავზე კოლუმბიელი ნობელიანტი მწერლის გაბრიელ მარკესის გახმაურებული რომანი „მარტოობის ასი წელი“ – თუ, რასაკვირველია, წაკითხული გაქვთ?**

– ჩემდა დასანანად, არა მაქვს წაკითხული.

...ჩემთვის ცნობილია, რომ ესოდენ ხანგრძლივი და ესოდენ ნაყოფიერი სიცოცხლის გაყოლებით ჩვენი დიდებული იუბილარი „საქართველოს რესპუბლიკისა“ და მისი წინამორბედის აქტიური მკითხველიც ბრძანდებოდა და მუდამ სასურველი სტუმარიც გაზეთის ფურცლებზე: თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობით არაერთგზის მოუცია ასეთი სტუმრობის საბაბი, კერძოდ, ამ სტრიქონების ავტორებისთვისაც; ამიტომაც მივცემ თავს ნებას „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელითაც მივულოცო ასწლეულის ბარაქიანი და შთამბეჭდავი მოსტუმრება და კვლავაც ვუსურვო სალბუნებიანი და სალმეხსიერებიანი სიცოცხლის დღენი...

**თამაზ ებანოიძე**

◉ მილოცვა



# 80 წლის მერაბ ბერძენიშვილს

ქართველი ხალხის ბრძენო რაინდო,
თუმცა შეგვიწყვიტეს წლები მრავალი,
მალე დადგება ჩვენში სამი დრო, –
წარსული, აწმყო და მომავალი.

თუმცა ეშმაკი დაძრწის – თავნება,
სული ქართველთა მაინც ქართველობს,
შენ სამი დროის ხან ბრწყინვალება,
აღმაშენებლის დიდო ნათელო.

იღბალმა მარად წლები დარაზმა, –
ლოცვითა, ენით გამოუთქმელით,
დადექი ფეხზე, როგორც ავაზა,
და გაახარე დიდი რუსთველი.

შენი
**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
2009 წლის 10 ივნისი. თბილისი

◉ წკეპლიკა

# როცა არ იცი, იდეებ რა უყო...

**ივნისის 13 თუ 14 დონორის საერთაშორისო დღე ყოფილა და ჩვენმა ჩასუქებულ-ჩაქვირითებულმა დიდჩინოსნებმა („სამთავრობოებმა“!) წაპიარების შემთხვევა არ გაუშვეს: გამოსაშვები სისხლი გამოუშვეს და უსასყიდლოდ ჩააბარეს. რას ერჩი, საქები საქმეა და ქება და დიდება მათ!**

ეგ კია, რომ ტელეეკრანზე რიგში მდგარ დონორთა შემხედვარეს ცუღლუტური აზრი გამიჩნდა (რასაა, რომ არ ფიქრობს კაცი...ძ: რა იქნება, საქართველოს (დარჩენილი საქართველოს!ძ მასშტაბით მაინც რომ შემოვიღოთ ფულის გაღების რესპუბლიკური დღე, როცა ამხელახელფასებიანი დიდკაცები ტყუილად „ალებადი“ ფულიდან რაღაცას გაიღებენ უპოვართა სასარგებლოდ...

ხო აზრზე ხართ, რა უზარმაზარი რიგი დადგებოდა და ერთმანეთის დასწრებაზე როგორ „იმუშავებდნენ“...

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

## ბავშვთა მომსახურების პროგრამა 5 წლამდე გაიზრდება

ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მხოლოდ ნულიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვთა კონტინგენტზეა გათვალისწინებული, მომავალი წლიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვებსაც შეეხება.

ეს ინიციატივა-წინადადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე გააჟღერა.

წერეთელი ასაკობრივი ზღვრის 0-დან 5 წლამდე გაზრდას აღნიშნული ასაკის ბავშვთა განვითარების თავისებურებებით ხსნის.

მისი თქმით, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით სწორედ 0-დან 5-წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურებაა გათვალისწინებული.

ჯი-ეიჩ-ენი

### ⊙ ჭადრაკი

# თბილისის მერიის თასზე

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში ეს-ეს არის დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი მაია ჩიბურდანიძის თასზე, რომლის საპრიზო ფონდი 28 ათასი ლარი იყო. ორი დღის წინათ კი ახალმა შეჯიბრებამ აიღო სტარტი თბილისის მერიის თასზე.** დედაქალაქის ხელმძღვანელობამ პრიზიორებისთვის უფრო სოლიდური თანხა გამოყო – 64 ათასი ლარი. აქედან გამარჯვებული 10 ათას ლარს მიიღებს. ტურნირი შერეულია და მასში მაღალი რეიტინგის დიდოსტატებიც მონაწილეობენ. პირველ ნომრადაა განთესილი ბაადურ ჯობავა, რომელიც მეორე ტურში ალექსანდრე ყაშაშვილს ხვდებოდა. დაძაბული და ორმხრივი შეცდომებით აღსავსე პარტია 69-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ლევან ფანცულაია მიხეილ ჯამაგიძეს დაუზავდა. ორ-ორი გამარჯვებით ლიდერთა შორის არიან სომეხი არმან პაშიკიანი, მოსკოველი მიხაილ ქობალია, ქართველი დიდოსტატები – მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თორნიკე სანიკიძე, ნანა ძაგნიძე, დავით ჯოჯუა, კონსტანტინე შანავა, მაკა ფურცელაძე, ლელა ჯავახიშვილი, თამარ წერეთელი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები. ფავორიტებსა და აუტსაიდერებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან გუშინ მხოლოდ მესამე ტურის პარტიები გათამაშდა.

**ლექსო ცინცაძე**



**სურათზე: ბაადურ ჯობავას და ალექსანდრე ყაშაშვილის შეხვედრის მომენტი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

### ⊙ ათლეტიზმი

# ფიცარნაგზე გოგონაც გამოჩნდა



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რექტორის გიორგი ხუბუას ხელშეწყობით ათლეტიზმში საქართველოს თასის მეოცე გათამაშებას უმასპინძლა.**

შეჯიბრი საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის (პრეზიდენტი პეტრე მამრაძეძ ეგიდით გაიმართა.მასში ათი გუნდის 100-მდე ათლეტი მონაწილეობდა, მათ შორის ერთადერთი ქალი,



ზესტაფონელი იუნიორი – ნინო ჭყოიძე, წარსულში ცნობილი ათლეტის, ძალისმიერ სამჭიდში საქართველოს ერთ-ერთი პირველი ჩემპიონის – ვასილ რიზიცკის აღზდილი.

პროგრამაში იყო ძალისმიერი სამჭიდი, წოლჭიმი და ბიცეპსებით წონის აწევა.

პირველი ასპარეზობაში ნინო ჭყოიძე ჩაება. მიუხედავად იმისა, რომ ნინო 45 კგ-ზე ნაკლებს იწონის, მან სამჭიდის ჯამში 170 კგ მოაგროვა და 48 კგ-მდე წონით კატეგორიაში საქართველოს რეკორდი დაამყარა. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ვასილი სხვა ათლეტებსაც, მათ შორის გოგონებსაც ავარჯიშებს და, ალბათ, მალე ათლეტიზმის კარგ გუნდსაც მოამზადებს ზესტაფონში.

ძალისმიერ სამჭიდში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. 67,5 კგ-მდე წონით კატეგორიაში უნივერსიტეტელმა ჯაბა ლოზნელიშვილმა სამჭიდის დასკვნით მოძრაობა-ამოწევაში 246 კგ. დააფიქსირა და წარსულში ცნობილი ათლეტის ალექსანდრე დალაქიშვილის ეროვნული მიღწევა 0,5 კგ-ით გააუმჯობესა.

წოლჭიმში თავი გამოიჩინა სიღნაღელმა ათლეტმა გიორგი ბეჟაშვილმა (75 კგ-მდე წონითი კატეგორიაძ. მან საკუთარი ეროვნული რეკორდი 9 კგ-ით დაამძიმა და 210 კგ. აჭიმა.

სამჭიდში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს თელაველმა სპორტსმენებმა, წოლჭიმში – სიღნაღელმა, ხოლო ბიცეპსებით წონის აწევაში თსუ-ს ათლეტებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა (მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძეძ, მეორე ადგილზე გავიდნენ სიღნაღელი (მწვრთნელი შოთა ბეჟაშვილიძ, მესამეზე – თელაველი ათლეტები (მწვრთნელი ბექა მაზანიშვილიძ.

შეჯიბრებას უძღვებოდნენ საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის გენერალური მდივანი



ელგუჯა კვიკვენია და ვიცე-პრეზიდენტები: ნიკოლოზ სარალიძე და გერონტი ჯმუხაძე.

**გიორგი შოთაძე**

**სურათებზე: საპატიო კვარცხლბეკზე.**

### ⊙ წყალბურთი



## ტექნიკური შედეგები

**„ლაგუნა ვერეზე“ გრძელდება ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობა. გაუწყებთ მეორე-მესამე ტურების შედეგებს.**

**1991-1992 წლებში დაბადებულნი:** „ივერია-1“ – „ივერია-2“ 20:3, „ლაგუნა“ – „დელფინი“ 11:4.

**1991-1993 წლებში დაბადებულნი:** „ივერია-1“ – ასკ 20:2, „ლიგამუსი“ – ასკ 13:1, „ივერია-1“ – „ივერია-2“ 15:2.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი-3“ – „ივერია“ 7:19, „ლიგამუსი-2“ – ასკ 2:19.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

### ⊙ ჭიდაობა

# რუსთავში, მეცამეტედ

**წლეულს 24-27 ივლისს სერბეთი 1992-1993 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრების ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა მსოფლიოს ჩემპიონ თეიმურაზ ყაზარაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც რუსთავმა მეცამეტედ უმასპინძლა. სასპარეზოდ თავი მოიყარა 6 ქვეყნის 155-მა სპორტსმენმა.** განსაკუთრებით რუსებმა იყოჩაღეს – მათ ათი მედალი მოიპოვეს, მათ შორის – 5 „ოქროსი“. ქართველმა ფალავნებმა თერთმეტი ჯილდო კი დაიმსახურეს, მაგრამ უმაღლესი სინჯისა მხოლოდ ორი აღმოჩნდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ 58 კილოში ფირუზ წულუკიძე და 63 კილოში ლერი კაჭკაჭიშვილი (დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ – გევორგ ღარიბიანი (სომხეთი, 42ძ, ტურალ ჰასანზადე (აზერბაიჯანი, 46ძ, როდინ სამატოვი (რუსეთი, 50ძ, სარგის კოჩარიანი (სომხეთი, 54ძ, ისლამ ჩარაევი (რუსეთი, 69ძ, მაჰმუდ ბაჩიევი (რუსეთი, 76ძ, იდრის ტატიევი (რუსეთი, 85ძ, ალან დრიაევი (რუსეთი, 100ძ; თითო შეხვედრა წააგეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ ლაშა გობაძე (69ძ, ლაშა შალიკაშვილი (76ძ და გიორგი ხაბაშვილი (100ძ. მესამე ადგილებზე გავიდნენ ამირან შავაძე (50ძ, კახა ვანაძე (58ძ, თენგიზ ბაბილუა და დავით ჩიტაძე (ორივე – 69ძ, შალვა გონენაშვილი და გიორგი მდინარაძე (ორივე – 76ძ, დავით ჩაკვეტაძე და ბექა ქურდაძე (ორივე – 85ძ.



**გიორგი გაგუა**

### ⊙ წყალხტომა

# ალემანთა ქვეყანაში



**გერმანიაში დამთავრდა ახალგაზრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის ირაკლი ბართაიას ხელმძღვანელობით.**

ცხრამეტწლიანებში სალომე ჯუღელმა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თექვსმეტწლიანებში ათმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ალექსანდრე გუჯაბიძემ მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო აკაკი ივანიშვილი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეექვსე ადგილს დასჯერდა.

### ⊙ ჩოგბურთი

# ჩაკვეტაძე ამარცხებს იანკოვიჩს

**ისტბორნში მიმდინარე ქალთა საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია, ქართული წარმოშობის მოსკოველმა ანა ჩაკვეტაძემ (რეიტინგით 31-ეძ დაამარცხა მსოფლიოს მეექვსე ჩოგანოსანი, სერბი ელენა იანკოვიჩი – 6:7 (5:7ძ, 6:3 6:2.**



ეს ანას ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში.

სამწუხაროდ, ანა ამჟამად არც თუ საუკეთესო ფორმაშია. უიმბლდონის წინ ამ გამარჯვებამ მას მეტი რწმენა და მხნეობა უნდა შემატოს, რადგან ამ დონის მოწინააღმდეგე მას, დიდი ხანია, არ შეხვედრია. მისი შემდეგი მეტოქე იქნება უიმბლდონ-2007-ის ფინალისტი მარიონ ბარტოლი.

### ⊙ ინტერნეტიდან

## ჰოკეის პარადი სარეკორდოა

**ჯერ ერთი, 2009 წლის სტენლის თასის ფინალის მეშვიდე მატჩმა ბოლო 36 წლის შემდეგ სარეკორდო ტელეაუდიტორია შეკრიბა. NBC ცენტრალურ ამერიკულ ტელეარხზე მატჩის რეპორტაჟს 7,5 მილიონი ადამიანი უყურებდა. აქამდე ყველაზე პოპულარული მატჩების სერიად მიჩნეული იყო „დეტროიტისა“ და „კაროლინას“ ორთაბრძოლა – 5,2 მილიონი მაყურებელი.**



მეორე რეკორდი კი პიტსბურგში შედგა გამარჯვებული „პინგვინების“ დაბრუნების დროს. საპატიო ნადავლის ჰოკეისტთა თანხლებით ქალაქში გავლას მიესალმებოდა დაახლოებით 375 ათასი გულშემატკივარი.

თებერვალში პიტსბურგში უკვე იყო ერთი ამისთანა ზეიმი. ის მიეძღვნა კლუბ „სტილერსის“ ამერიკული ფეხბურთის ჩემპიონატში გამარჯვებას. მან „მხოლოდ“ 300 ათასი ქომაგი შეკრიბა.

## ყველაზე სექსუალური

**ჟურნალმა More! მოაწყო მკითხველთა გამოკითხვა, რათა აერჩიათ ყველაზე სექსუალური და პირიქით, არასექსუალური ქალბატონები. ბრიტანელთა აზრით, ყველაზე მიმზიდველი სხეული აქვს ინგლისელი რაგბისტი დენი ჩაპრიანის გულისვარდს, მსახიობ კელი ბრუკს, რომელმაც მეორე ადგილზე დაახევინა ჰოლივუდის ვარსკვლავს მეგან ფოქსს.**

ანჯელინა ჯოლმა მესამე ადგილი დაიკავა, მეოთხე ადგილი კი მოიპოვა „ჩელსის“ ფეხბურთელის შელი კოულის მეუღლემ, მომღერალმა შერილი კოულმა, რომელმაც ამას წინათ მოიპოვა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურის წოდება მამაკაცთა ჟურნალის FHM ვერსიით.



კელი ბრუკის მკერდიც ყველაზე უკეთესად მიიჩნიეს, გამოკითხვისას დაჩრდილა რა ტელეწამყვანების ჰელი უოლიუზის, შერილ კოულისა და ჯესიკა სიმპსონის მკერდები.

ყველაზე უარესი სხეულით გამოარჩიეს ვიქტორია ბექჰემი. „არასექსუალურთა“ პირველ ხუთეულში მოხვდნენ სუპერმოდელი კეიტ მოსსი, მომღერალი ლილი ალენი, ტელეწამყვანები ფირნ კოტონი და კოლინ რუნი.

◎ გამგები გაიგებს

# როცა სიტყვა ორლესულია...

## ერთი ცნობილი ლექსის პაროდია

ეჭვი არა მაქვს, რომ ყველას კარგად ახსოვს ლადო ასათიანის „სალაღობო". ეს ლექსი ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებით სტროფი:

„ცხრა მახვილი რომ დამარტყა ცხრაჯერ გულში..."

ეს სიტყვები ჩემი ქვეყნის სიყვარულის, მისი სიამაყის, მისთვის თავდადებისთვის მზადყოფნის ერთგვარი სიმბოლო იყო. ეს იყო რაღაც წმინდა ფიცი, რომლის ღალატი ვერც კი წარმომედგინა და გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ყველა იზიარებდა ამ გრძნობას. საქართველოში დღევანდელი ამბების შემყურეს სულ ეს სტროფი ამომიტივტივდებოდა ხოლმე თავში და ვფიქრობდი, ღმერთო, სად წავიდა ამ და მსგავსი ბრწყინვალე ლექსებით აღზრდილი სულისკვეთება?! რა ჯოჯოხეთში ჩაიწვა და ჩაიფერფლა ის გრძნობები და ის რწმენა?! რის ცხრა-მახვილი, რა ცხრა მახვილი, სამშობლოსაც და დედ-მამასაც გაყიდიან, ოღონდ საკუთარი ამბიციები შეისრულონ. საკუთარი თავის მეტი არაფერი არ ახსოვთ, არაფერი არ აწუხებთ, მზად არიან ყველა და ყველაფერი გაწირონ. შეიძლება ვინმემ თქვას, რა სირცხვილია ასეთი ლექსის გამასხრებაო. მაგრამ ის ბოროტება, რაც ადრე ხდებოდა და ახლა ხდება, ჩემთვის სწორედ ამ ლექსით გამოხატული იდეის და გრძნობის შელახვას, მის ტალახში გასრესას ნიშნავს. სწორედ ამიტომ დავწერე მისი პაროდია. ჩემთვის ამ ლექსის პროფანაცია გახდა რეალურობაში მისი სულისკვეთების პროფანაციის გამოხატულება. ღმერთმა შემინდოს ეს კადნიერება. ლადო ასათიანი, დარწმუნებული ვარ, მაპატიებდა.

**დოდონა კიზირია,**
ბლამინგტონი,
ინდიანის უნივერსიტეტი, აშშ

### სალაღობო

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
ძირს დაეცეს და ნაგავში ჩაიმარხოს.
გაუმარჯოს მაფიოზურ ფულის ხარჯვას,
კანონიერ ქურდ ძმა-ბიჭებს გაუმარჯოს.

დაუკარით, ჯერ ხომ გესლი გვიდუღს ძარღვში,
ჯერ ჩვენ გულებს არ აკლდება შავი შხამი,
ჩვენი სიტყვა ისევ აფრქვევს ბოლმის ნაღმებს,
ეგებ მართლაც პრეზიდენტის გვერგოს სკამი.

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ რუსეთი გავახაროთ, გავალაღოთ.
დაუკარით, რომ გიჟები ვიყოთ მარად,
რუსის ტანკმა რუსთაველზე იბალახოს.

ცხრა დოლარს თუ ჩაგვიტენენ ცხრაჯერ
მუშტში,
მტერს გავულებთ ცხრაჯერ კარებს გაცინებით.
დავილღებით ჩვენ იმ სკამის სიყვარულში,
რომლის ეშხი სასთუმალზე არ გვაძინებს.

ჰა, დაჰკარით, გადაჯეგეთ, გადათელეთ!
რის ნამუსი?! ეს ჩვენ სულაც არ გვეხება.
ჩვენ თუ არა, რა ფასი აქვს საქართველოს!?
თუ ჩაიხრჩო ხალხი სისხლში, ამ ჩემ ფეხებს!

დაუკარით, მოასწარით, თორემ ჰერი...
ხალხი იწყებს ძილ-ქუშიდან გაღვიძებას.
დაინახავს, ვინ მოძმეა და ვინ მტერი —
მაშინ გზები მოუსავლეთს გაგვიძღვება.

15.VI.09 წ.

◎ ინფორმაცია

## „ვალერა აბხაზსკიც" დააკავეს

მოსკოვის ოლქის ქალაქ დოლგოპრუდნიში რუსმა სამართალდამცავებმა აფხაზი „კანონიერი ქურდი" ვალერა აბხაზსკი დააკავეს. შს სამინისტროს მოსკოვის ოლქის სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის ევგენი გილდეევის ინფორმაციით, 38 წლის ე.წ. აფხაზეთის მოქალაქე ნარკოტიკების შენახვის ბრალდებითაა დაკავებული.

— ვალერა აბხაზსკი თავს „კანონიერი ქურდების" კატეგორიას მიაკუთვნებს. იგი სამართალდამცავების მიერ ოპერაცია „მაკის" ჩატარების დროს დააკავეს. დაკავებისას ჩატარებული ჩხრეკის დროს მას სამი გრამი მეტადონი აღმოაჩნდა, — აცხადებს გილდეევი.

რუსული მედია ასევე იუწყება, რომ ვალერა აბხაზსკი მოსკოვის ოლქის მიტიშინსკის რაიონში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას აკონტროლებდა.

ХО-ЭОВ-ЭНО

ხელოვნა

# გურამ მჭედლიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გურამ მჭედლიძე.

იგი დაიბადა ქ.თბილისში 1931 წლის 27 სექტემბერს პედაგოგის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის სპეციალობით. 1962 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1989 წლიდან გარდაცვალებამდე გურამ მჭედლიძე მუშაობდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად. 1971 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტებზე. იგი იყო წამყვანი სპეციალისტი საბჭოთა კავშირში ზღვის ძუძუმწოვრების პალეონტოლოგიის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული ნამარხ ვეშაპისმაგვართა საფუძვლიანი კვლევის დაწყება ჩვენს ქვეყანაში. მეცნიერის შრომებში გაშუქებულია თეორიული ბიოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ეკოგენეზი, ბუნებრივი შერჩევა, რეკაპიტულაცია, ორგანულ ფორმათა გადაშენება, ევოლუციური პროგრესი და სხვ.

გურამ მჭედლიძეს გამოქვეყნებული აქვს 69-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, რომელთაგან 3 თარგმნილია ინგლისურად. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ნათარგმნია გერმანულ ენაზე. 2000 წელს გამოქვეყნდა ენციკლოპედია ძუძუმწოვართა შესახებ, რომლის თანაავტორი გ.მჭედლიძე გახლდათ.

1974 წელს გ.მჭედლიძე აირჩიეს საკავშირო აკადემიის საპრობლემო საბჭოს „მეცნიერთა და ცხოველთა ისტორიული განვითარების გზები და კანონზომიერებები", ძუძუმწოვართა და ევოლუციური საკითხების შემსწავლელი კომისიების წევრად. 1971 წლიდან იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების წევრი.

1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

დიდია მისი დამსახურება ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებასა და ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის
„საწარმოთა მართვის სააგენტოს"

## ბრძანება

№ 1-3/288 16 ივნისი, 2009 წ.

### სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2009 წლის 5 ივნისის №1-3/268 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**„მეწარმეთა შესახებ" და „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 22.06.06 წ. №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" დებულების საფუძველზე**

**ვბრძანებ:**

1. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2009 წლის 5 ივნისის №1-3/268 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

— შპს „აღმოსავლეთის წყალი" წარმოადგენს შპს „გორის სოფლის წყალსადენების სამმართველოს", შპს „კასპის რაიონის წყალკანალის", შპს „მერწყულის", შპს „ქარელის წყალკანალის", შპს „დაბა აგარის წყალკანალის", შპს „თეძამი-2000"-ის, შპს „ხაშურწყალის, შპს „ხაშურკანალის", შპს „სურამის წყალკანალის", შპს „წყალკანალის" (ახალციხე), შპს ადიგენის წყალმომარაგება-კანალიზაცია „ჰიგიენას", შპს „წყალსადენ კანალიზაციისა და კომუნალური მომსახურების ერთიანი სპეციალიზირებული სამსახურის (ასპინძა), შპს „აბლარი-ახალქალაქი-წყალკანალის", შპს „ახალქალაქის სოფლის წყალმომარაგების", შპს „ბორჯომის წყალსადენ-კანალიზაციის", შპს „წყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო-საექსპლოატაციო სამმართველოს" (ნინოწმინდა), შპს „დუშეთის კომუნალური სამსახურის", შპს „ნაკადულის" (მცხეთა), სს „თელავწყალკანალის", შპს „სოფლის წყალსადენის საექსპლოატაციო სამმართველოს", შპს „ყვარელწკალკანალის", შპს „წყალკანალის" (გურჯაანი), შპს „ლაგოდეხის რაიონის წყალკანალის", შპს „სიღნაღის რაიონის კომუნალური გაერთიანების", შპს „ქალაქწყალკანალის" (დედოფლისწყარო), შპს „ქედების წყალკანალის", შპს „დედოფლისწყაროს წყალკანალის", შპს „საგარეჯოს რ-ნის კომუნალური მეურნეობისა და წყალკანალიზაციის საწარმოს", შპს „ბოლნისწყალკანალის", შპს „სართიჭალის წყალსადენის", შპს „წყალკანალის" (დმანისი), შპს „თეთრიწყაროს წყალკანალის", შპს „მარნეულწყალის" სამართალმემკვიდრეს.

2. დაევალოს შპს „აღმოსავლეთის წყალის" დირექტორს (ლ. წითელაშვილი) უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია სამეწარმეო და საჯარო რეესტრებში და შესაბამისი დოკუმენტაციის სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოში" წარმოდგენა;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" დარგობრივი ეკონომიკის ჯგუფს.

**თავმჯდომარე ივანე ბერაძე**

## განცხადება

**სს „აგროინვესტბანკი" აცხადებს საჯარო აუქციონს. აუქციონზე სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება ს.ს. „აგროინვესტბანკის" კუთვნილი უძრავი ქონება, კომპიუტერული ტექნიკა, საკომუნიკაციო (ქსელური) მოწყობილობები; საოფისე ავეჯი და მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ცეცხლგამძლე სეიფები;**

**აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 26 ივნისს 12 საათზე ს.ს. „აგროინვესტბანკის" ადმინისტრაციულ შენობაში, მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი №79.**

**აუქციონზე მონაწილეთა რეგისტრაცია და განცხადებების მიღება დამთავრდება 2009 წლის 26 ივნისს 11 საათსა და 30 წუთზე.**

უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №81, საცხოვრებელი ფართი 33.01 კვ.მ. საერთო სარგებლობის სამზარეულო და სველი წერტილები. საერთო სარგებლობის შესასვლელი. ფართი სარემონტოა. საწყისი ფასი 11 772 (თერთმეტი ათას შვიდასსამოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე" შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს — 1177 (ათას ას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

**სატრანსპორტო საშუალებები**

1. ავტომობილი „ოპელ ომეგა 2.0". გამოშვების წელი 1991. გადაცემათა მექანიკური კოლოფი. გარბენი 281 541 კმ. ავტომობილის გარეგნული მდგომარეობა ნორმალურია. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ძარის ქვედა ნაწილი კოროზირებულია და საჭიროებს სათუნუქე სამუშაოების ჩატარებას. ძრავისა და სალონის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სავალი ნაწილი ნორმალურია, საბურავები გამოსაცვლელია. ფასი 1485 ლარი.

2. ავტომობილი „მერსედეს ბენცი 250 დიზელი". გამოშვების წელი 1990. გადაცემათა მექანიკური კოლოფი. გარბენი 380 857 კმ. ავტომობილის გარეგნული მდგომარეობა კარგია. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ძარისა და სალონის მდგომარეობა კარგია. სავალი ნაწილი ნორმალურია. საბურავები ნორმალურია. დიზელის ძრავს ამოწურული აქვს თავისი რესურსი და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. ფასი 2500 ლარი.

3. ავტომობილი „მერსედეს ბენცი 307 დიზელი" ჯავშანმანქანა. გამოშვების წელი 1988. გადაცემათა მექანიკური კოლოფი. გარბენი 417 891 კმ. ავტომობილის გარეგნული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მძღოლის განთავსების ადგილი და შიდა ინტერიერი სარემონტოა. სავალი ნაწილი ნორმალურია. საბურავები გამოსაცვლელია. დიზელის ძრავს ამოწურული აქვს თავისი რესურსი და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. ფასი 2900 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ.:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;
2. „ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. „ბე" გადახდილი უნდა იქნეს ნაღდი ანგარიშით. აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე" შეადგენს გასაყიდი ქონების 10 პროცენტს.
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მოქმედება ხდება წარმომადგენლის სახელით.
4. იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

**სააუქციონო კომისია**

**შპს „ქართული საფონდო კომპანიის" ლიკვიდატორი ბ-ნი ლადო მესტიაშვილი გაცნობებთ, რომ შპს „ქართული საფონდო კომპანიის" დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საზოგადოების ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რაც დააფიქსირა 2009 წლის 12 ივნისის შესაბამისი ოქმით.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებსა და შპს „ქართული საფონდო კომპანიის" კრედიტორებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში) გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14.

**შპს „ქართული საფონდო კომპანიის" ლიკვიდატორი ლ. მესტიაშვილი. ტელეფონი 899 115995.**

## ვხატავთ „რომპეტროლს“

— ჩვენთან ჩამოხვალ?
— ჩამოსული არა ვარ?
— არა, ხვალაც თუ ჩამოხვალ?
— აბა, რას ვიზამ? ხვალაც... ზეგაც... მერეც...

ეს დიალოგი მხატვარ ზაალ სულაკაურსა და პატარა დაჩის შორის გაიმართა. ბავშვების უსაყვარლესი ზალიკო მხატვარი 14 ივნისს ქუთაისს სტუმრობდა. სტუმრობის მიზანი მისთვის ბუნებრივი ამპლუა იყო — საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა; პატარებისთვის სითბოსა და სიყვარულის განაწილება.

## სამოთხეში „დაჯავშნული“ ადგილი

„სამოთხეში ადგილი დაჯავშნული მაქვს“ — ამბობდა ღიმილით და წიწილებივით შემოსეულებს სათითაოდ ეფერებოდა.

„რომპეტროლ საქართველოს ორგანიზებით თბილისშიბავშვებისათვის დაწყებულმა აქციამ „ვხატავთ რომპეტროლს“, დასავლეთში გადაინაცვლა. ქუთაისის ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ცნობილმა მხატვარმა ზაალ სულაკაურმა და მისი სტუდიის ოსტატებმა ბავშვებისათვის ხატვის გაკვეთილები ჩაატარეს. სამი საათის განმავლობაში პატარა ქუთათურები საყვარელ მხატვართან ერთად ხატავდნენ თავიანთ ოცნებებს. ხატვისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი, საჩუქრები და სპეციალური დიპლომები „რომპეტროლისგან“ მიიღეს. „აქციის დასრულების შემდეგ ბავშვების მიერ შესრულებული ნახატები გაიყიდება, ხოლო შემოსული თანხა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება“ — გვითხრა „რომპეტროლ საქართველოს“ გაყიდვების დეპარტამენტის უფროსმა თენგიზ ჭიჭინაძემ.

**ციცი ჯინჯიხაძე**
**ქუთაისი**

## დაიჯესტი

### გენიოსის „სამზარეულო“



**„ლეონარდო და ვინჩის ყველაზე ცნობილი კოდექსები — ატლანტიკური და ის, ვინძორის სამეფო ბიბლიოთეკაში რომ ინახება, მისი ხელნაწერების პომპეო ლეონის მიერ შედგენილ გენიოსის ნაშრომთა ფრაგმენტების კომპონირებას წარმოადგენენ, რაც XVI საუკუნეში მოხდა. რაც შეეხება საფრანგეთის ინსტიტუტის რვეულთა შინაარსს, ჩვენთვის ამის თაობაზე თითქმის არაფერია ცნობილი“, — აღნიშნავს ჟურნალ „პანორამაში“ სანდრო ოტოლენგი.**

1487-დან 1515 წლამდე პერიოდის ჩანაწერების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია: ისინი შეეხება მექანიკასა და ჰიდრავლიკას, გეომეტრიასა და ოპტიკას, გეოლოგიასა და ზოოლოგიას, არქიტექტურასა და ხელოვნებას. მათი ნაწილი მაშინაა გაკეთებული, როცა ლეონარდო რომანიის მმართველის ჩეზარე ბორჯიას სამსახურში იყო ჩამდგარი სამხედრო ინჟინრის რანგში და სამხედრო მოქმედებათა ქრონიკას წარმოადგენენ: აქ მრავლადაა ცნობა მილანის სასახლის ყოფისა და იქაური საზოგადოების ცხოვრების წესის შესახებ, ასევე ფილოსოფიური აზრები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჩანაწერი ლეონარდო და ვინჩის რამდენადმე სხვა მხრივ წარმოაჩენს, ვიდრე ეს მანამდე იყო მიჩნეული, ნათელს ჰფენს მის ინტელექტუალურსა და პროფესიულ ევოლუციას, კერძოდ, საშუალებას იძლევა უკეთ შევაფასოთ ის, თუ რაოდენ მწირი იყო მის მიერ წიგნებიდან მიღებული ცოდნა და რაოდენ დიდი ის, რასაც მან ემპირიული გზით მიაგნო.

### მთავარია ეთიკა



**ადამიანსა და... გედებს შორის „ურთიერთგაგებას“ დიდად შეუწყო ხელი ესტონეთში კარგად ცნობილმა ბუნებათმცოდნემ ჰეიკი კრიმმა.**

— მე გედებს ჯერ კიდევ ძველ ინდოეთსა და ჩინეთში ცნობილი ნემსით ჩხვლეტის მეთოდით ვწვრთნიდი, — ამბობს ბატონი კრიმი. — სწორედ ასე მართავენ სპილოებს: ჩვეულებრივ ლურსმანს გარკვეულ წერტილებს აჭერენ და ეს უზარმაზარი ცხოველებიც ზუსტად იმას აკეთებენ, რაც ადამიანს უნდა.

მაგრამ ერთი კია: ადამიანის, ცხოველისა თუ ფრინველის ურთიერთგაგებაში მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობის ეთიკა. არ შეიძლება ძალადობის გამოყენება, აიძულო ცხოველი გააკეთოს ის, რაც მას ავნებს, — აღნიშნავს ჰეიკი კრიმი.

### მშვენიერების ხიბლი

**სილამაზე მართლაც რომ საშინელი ძალაა, რომელსაც დიდი თუ პატარა ერთიანად ეთაყვანება.** სილამაზის მუდამ თანმდევი სინატიფეც და მოხდენილობაც არანაკლებად გრძნობების დამატყვევებელი სტიქიაა, რაც ფოტოჟურნალისტის მახვილ თვალს გამოფენაზე არ გამოეპარა. კედელზე დაკიდებული მეტად მეტყველი ფოტოც რომ არ იყოს მოხვედრილი ობიექტივში, მარტო მამაკაცის სახის გამომეტყველებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მართლაც რაღაც მშვენიერს უცქერს.



### თუმცა ზოგჯერ ეშლებოდა...

**გერმანული ენის ჩინებულ მცოდნეს, ავსტრიელ კრიტიკოს კარლ კრაუსს ერთი მეცნიერი წარუდგინეს: „ამ ბატონმა პროფესორმა ხუთი ენა იცის“. ჰერ კრაუსს გაეცინა: „განა რა ენებია ასეთი, რომ მათ მხოლოდ ერთი კაცი ფლობს?“**

ახლა წარმოიდგინეთ, თუ რას იტყოდა ვენელი კრიტიკოსი, მისთვის ბრიუგელი არქიტექტორი რომ წარედგინათ, რომელსაც საერთაშორისო ჟიურიმ „ბაბილონის პრემია“ მიანიჭა იმისთვის, რომ ამ 26 წლის ფლამანდიელმა პოლიგლოტმა 22 ენა იცის (!!ძ. თანაც, ლაპარაკია მხოლოდ „ცოცხალ“ ენებზე, ვინაიდან ბატონმა იოჰან ვანდერვალემ კიდევ ცხრა „მკვდარი ენაც იცის, რის შემოწმებაც ჟიურის წევრებმა ვერ შეძლეს.

იოჰან ვანდერვალეს ლინგვისტური ბაგაჟი ისეთ ეგზოტიკურ ენებს შეიცავს, როგორებიცაა, მაგალითად, ძველოსმანური, ორქონთურქული და ჩაგატაური. საერთოდაც, ფლამანდიელ პოლიგლოტს განსაკუთრებით თურქული ოჯახის ენები იზიდავს, რომლებიც, მისი აზრით, თავისი ლოგიკით მსოფლიოს სხვა ენებს აღემატება: „ადრე თუ გვიან ინტელიგენტი კაცი აუცილებლად მოიხიბლება თურქული ენების მაგიით“.

თუმცა, როგორც თავის დროზე გერმანული ჟურნალი „შტერნი“ წერდა, „ბაბილონის პრემიის“ ლაურეატი მაინც ჩამორჩება თავის იდეალს, XIX საუკუნის იტალიელ პოლიგლოტს ჯუზეპე მეცოფანტის. სარწმუნო წყაროებით (რომლებიც „შტერნს“ დასახელებული არ ჰყავსძ, ხელოვანმა კარდინალმა მეცოფანტიმ თავისუფლად იცოდა 39 ენა (!!ძ. ამასთან, კიდევ 40 ენა კარდინალმა ისე კარგად არ იცოდა, რადგან, ზოგჯერ, „შეცდომებს უშვებდა“ (!!!ძ.

### რა ღირს თქვენი ქვეყანა?



**მოცლილ ხალხს ქვეყანაზე რა გამოლევს! აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი თავისუფალი დრო და, რაც მთავარია, მონდომება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ დადგეს და... მთელი ქვეყნის კი არა და ქვეყნების მთლიანი ღირებულება გამოითვალოს?!** წარმოიდგინეთ, ასეთებიც არიან! და სწორედ მათ გამოითვალეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი ღირებულებაა 3.300 მილიარდი დოლარი, ხოლო იაპონია, რომელიც შეერთებულ შტატებზე 25-ჯერ მცირე ტერიტორიის მქონეა, სწორედ ამის გამო უფრო „ძვირი ღირს“ — მისი ღირებულებაა 6.900 მილიარდი დოლარი.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## კადრი



რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

სიძნელეების დროს ადრე რუსეთში არყის ხეს შემოხვევდნენ ხოლმე ხელს და გულამოსკვნით ქვითინებდნენ, ახლა კი „ტოპოლს“ ეხუტებიან და ძალიან ცუდად იღიმებიან...

* * *

წყლის პისტოლეტით შეიარაღებული ბიჭუნა მთელი თვის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა კარბიდის ქარხანას.

* * *

— ექიმო, ბრმა ნაწლავის ამოჭრა მტკივნეულია?
— არა, საყვარელო: ტკივილგამაყუჩებელ ნემსს გაგიკეთებთ.
— ექიმო, ტკივილგამაყუჩებელი ნემსის გაკეთება მტკივნეულია?



* * *

ბინაში ტელეფონი რეკავს: ყურმილს ბიჭუნა იღებს:
— ალო, ვინ გნებავთ?
— მამა სახლშია?
— არა, წავიდა.
— დასასვენებლად?
— არა, დედასთან ერთად.

* * *

მედიკოსთა კონგრესზე ლექტორი თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის პროფილაქტიკაზე ლაპარაკობს:
— ...ყველაზე ქმედითია ყოველდღიურად 100 გრამი რუსული არყის მიღება...
რუსეთის წარმომადგენელი:
— ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენებმა გაიგონ, არაყი წამალიაო...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.